ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 26 (1464) 1 - 5 ივლისი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომავალი სურათი ანუ ეპიზოდი

## გაზეთ „საქართველოში“ გოგუაძის პუბლიკაციების დასრულების შემდეგ —

## —ძმობილო, კუდიგორის გზაზე მერე დამაკვალიანებ?

.....

## — გმადლობთ!



ვახტანგ გოგუაძე:

## ხანდახან ვფიქრობდი — ან მე არა ვარ სრულ ჭკუაზე, ან ესენი-თქო

ვინც იგულისხმებიან, იხილავთ ტექსტში

მე-2-3 გვ.

## კომუნისტები მოდიან?!



ზიუგანოვი

## იცეკვებს ის, ვინც ბოლოს იცეკვებს

მე-5 გვ.

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ვინ იყო ვინ? პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ვახტანგ გოგუაძე:

# ხანდახან ვფიქრობდი — ან მე არა ვარ სრულ ჭკუაზე, ან ესენი-თქო

## ვინც იგულისხმებიან, იხილავთ ტექსტში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №25.

**— ახლა კი რიტორიკის გარეშე. ბატონო ვახტანგ, თქვენ პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე 70-იანი წლებიდან ჩანხართ. კერძოდ, აქტიური მონაწილე იყავით 1978 წლის 14 აპრილისა. თქვენ შეაგროვეთ პროტესტის ხელმოწერები უნივერსიტეტის პედაგოგთა შორის. შემდეგ ამ ხელმოწერებიანად დაგკავეს და აღმოჩნდით რექტორის კაბინეტში, რამაც, სხვათაშორის, სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რა და როგორ იყო სინამდვილეში?**

**გარდა ამისა, მაშინდელი პარტოკრატები დღეს ლაპარაკობენ იმაზე, რომ თურმე 14 აპრილი მათი დამსახურება ყოფილა.**

**არის თუ არა ეს ისტორიის გაყალბება?**

— მე ამ კითხვაზე პასუხი გავეცი გაზეთ „თბილისში“ სათაურით „პირველად რუსეთის იმპერიაში“ (13 აპრილი, 1990 წ.). იმ წერილში თქვენი გაზეთის რედაქტორი, ბატონი ნოდარ გრიგალაშვილიცაა ღირსეულად დამოწმებული. ვრცლად არ შევჩერდები. მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, თითქოს მე ის ხელმოწერები რექტორის, ბატონ დავითის თხოვნით თუ მოთხოვნით დავხიე. სამაგიეროდ, ბატონი დავითი რაღაც თანამდებობებს შემპირდა თურმე. გახსოვთ, ალბათ, ჭორით გულშეჯერებულებს ის ქაღალდი ვაჩვენე და ვკითხე — აბა ერთი კარგად გახედეთ, ხომ კარგად არის „დაწებებული“-თქო. გაზეთში სტატიას თან ერთვის იმ ხელმომწერთა ფოტოასლიც. ყველას კარგად ახსოვს უნივერსიტეტის რექტორის ბატონ დავით ჩხიკვიშვილის მაშინდელი გმირობა. ამ გმირობაში მას დიდად შეუწყო ხელი იმ ორმოცი ავტორიტეტული ლექტორის ხელმოწერებმა. რაც არ უნდა შეიცვალოს ჩემი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ჭეშმარიტებას ჩემს ნებაზე ვერ ვათამაშებ. 14 აპრილის ღირსეულად ჩატარებაში, დიახ, ლომის წილი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მიუძღვის.

გთავაზობთ 1978 წლის 14 აპრილისთვის შედგენილ დოკუმენტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს,

ამხ. ე.ა. შევარდნაძეს

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს,

ამხ. პ.გ. გილაშვილს

გავეცანით და ვიწონებთ სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს.

გვაქვს წინადადება, შესწორდეს პროექტის 75-ე მუხლი ამგვარი ფორმულირებით: „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა. საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

დოცენტი, ვახტანგ გოგუაძე, პროფესორი თ. კუკავა, დოცენტი ა. ტყემალაძე, მ. მეიფარიანი, ბ. მამულაშვილი, ლ. წურწუმია, ა. გომართელი, დოც. ი. ევგენიძე, პროფ. რ. ხირაძე, დოც. თ. მაღლაფერიძე, ზ. გოგიჩაიშვილი, დოც. ზ. კიკნაძე, დოც. ბ. ბარდაველიძე, დოც. ლ. გრიგოლაშვილი, ნ. რამიშვილი, დოც. ო. ონიანი, პროფ. ჯ. ჭუმბურიძე...

(სულ 40 ხელმოწერა)

**— როდის გაიცანით ზვიად გამსახურდია? გქონდათ თუ არა პროტესტის გრძნობა, როდესაც ის დააპატიმრეს 1977 წელს?**

— ზვიადს 70-იანი წლებიდან ვიცნობდი. 1977 წელს უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის (ხელმძღვანელობდა ამირან გომართელი) სხდომაზე ერთმანეთის მოხსენებები მოვისმინეთ. ჩემი მოხსენების თემა გახლდათ „დონ ჟუანი“. ზვიადმა მოხსენება მოიწონა, მაგრამ ფროიდის ის აზრი არ ვარგა — საზიზღარ მარქსიზმს ემთხვევაო. როცა დააპატიმრეს, საზოგადოებაში რაიმე ღელვა არ წარმოქმნილა. მაშინდელმა რეჟიმმა შექმნა იმის წინარე საფუძველი შიშისა და კომპრომეტაციის სხვადასხვა ხერხებით; არ მახსოვს არც ჩემი და არც სხვისი პროტესტები. და თუ ვინმეს ჰქონდა საამისო განწყობილება, ყველას ჩაუქრეს „ვრემიათი“ მისი გამოსვლის შემდეგ.





ქ-ნი ნანული შევარდნაძე და ქ-ნი ნანა გოგუაძე

**— თქვენ დევნილ ზ.გამსახურდიას იუბილე გადაუხადეთ უნივერსიტეტში, რაც 9 აპრილის შემდეგ ბრალდებად წამოგიყენათ იმდროინდელმა ცკ-ს პირველმა მდივანმა, ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა. მისი გაპრეზიდენტების შემდეგ კი ოპოზიციაში ჩაუდექით.**

**გთხოვთ აღიდგინოთ იმდროინდელი პერიპეტიები. რა და როგორ ხდებოდა. როგორც იტყვიან, ალალად ებრძოდით პრეზიდენტს, თუ ეს იყო მოსკოვიდან კარნახი?**

— პასუხს შევუდგები ბოლოდან. რად მინდოდა მოსკოვის კარნახი, სიცოცხლე რომ შემენარჩუნებინა, მოსაკლავად დამსდევდა პრეზიდენტი და მე, მთელი ქართველი ინტელიგენციის აბსოლუტური ნაწილი, თავს ვიცავდით. ლირიკულ ზიგზაგებს თავი რომ დავანებოთ, პირდაპირ გეტყვით — ზვიად გამსახურდია, როგორც პრეზიდენტ-დიქტატორი, საშინელება იყო. თავისი თანამებრძოლები, რაც მოასწრო, ციხეში ჩაყარა. ვინც დარჩა, მათი განადგურების კამპანია იწყებოდა. მეორეც, მოსკოვთან რა კავშირი მე მქონდა. მოსკოვში გამსახურდიას პერიოდში ვიყავი ორჯერ. ერთხელ ხარკოვიდან გამოვიარე, სადაც „მემორიალი“ ატარებდა საერთაშორისო ღონისძიებას ადამიანის უფლებებზე. იმ ღონისძიებაზე გამსახურდიამ ლამის ნახევარი პარლამენტი დაგვადევნა. მე მოსკოვში გავიარე აკაკი მიქაძესთან. მე და კაკო ერთ საღამოს სსრკ სახალხო დეპუტატს, ბატონ ვალერიან ადვაძეს ვეწვიეთ (სასტუმრო „მოსკვაში“ ცხოვრობდა). იქ მოვიდა არძინბა, რომელიც ხშირად გვიმეორებდა — **Вы должны поддержать Гамсахурдиа.** ცოტ-ცოტას ვსვამდით. საუბარი მეგობრული იყო, ერთხელ გაცხარდა კაკო და კინაღამ ხორციელად შეუტია არძინბას. არძინბას ერთი კარგი გამართული ქართული წინადადება წამოსცდა და მაშინვე თითზე იკბინა, არ გავიგონო, ქართული რომ ვიციო. ხშირად იმეორებდა — **„когда наши государства станут более могучими“...** მე ერთხელ შევაწყვეტინე, თითქოს ვაგრძელებდი მის წინადადებას — **когда у вас будет абхазская водородная бомба, у нас – грузинская атомная бомба...** იმიტომაც იყო ზ.გამსახურდიათი კმაყოფილი, რომ მის შესახებ ლაპარაკობდა, როგორც მეზობელი სახელმწიფოს ხელმწიფე მეზობელ ხელმწიფეზე. დავუბრუნდები კითხვის მთავარ აზრს.

გეთანხმებით, დევნილ გამსახურდიას გადავუხადე იუბილე უნივერსიტეტში. სამაგიეროდ, სულ მალე გავხდი მდევარ გამსახურდიასგან დევნილი. 1991 წლის 1 იანვრის „ქართულ ფილმში“ ამ თემაზე დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ სათაურით „ბედის ირონია“.

9 აპრილის შემდეგ რომ საბჭოთა რეჟიმს წელი მოემაგრებინა, ცხადია, მე ციხე გამზადებული მელოდა. რაც შეეხება ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს, პირადად იგი ჩემს მიმართ ურიგოდ არ მოქცეულა. 9 აპრილამდე (28 იანვარს) წერილი გავუგზავნე — პრორექტორობიდან გათავისუფლებას ვთხოვდი. 2 თებერვალს შევხვდი, ორი საათი ვისაუბრეთ. „ასე რომ, ჩემო ვახტანგ, შენი პრორექტორობიდან გათავისუფლება ჩემი მუშაობის ცუდი შეფასება იქნება და, გთხოვ, ეს განცხადება უკან წაიღო“.

...განცხადება არ წამოვიღე. 9 აპრილამდე ორი თვითა და ერთი კვირით ადრე მე მას განთავისუფლებას ვთხოვდი — „რომ გავიხედე, ბატონო ჯუმბერ, წინ რაც მოდის, მე არ მინდა ამ უბედურებაში გავეხვიო“. (იხ. „ქართული ფილმის“ დასახელებული ინტერვიუ).

9 აპრილამდე პრესით თუ მიტინგებზე მოვუწოდებდი ყველას — ხელისუფლებასა და ოპოზიციონერებს, დიალოგისაკენ,

გაგრძელება მე-8 გვ.

მეორე გვერდიდან

მდგომარეობის დამშვიდებისაკენ, თუ არა უბედურება მოხდებოდა. ბატონი ზვიადის, მერაბისა და სხვა ლიდერების მონაწილეობით (უნივერსიტეტში, კინოს სახლში) მივმართავდი ყველას — ნუ გავამწვავებთ მდგომარეობას, სისხლი დაიღვრება. — რატომ გაქვთ თქვენ საბჭოთა არმიის ჯენტლმენობის იმედი. ის არმია იმასვე იზამს, რაც გააკეთა 1956 წლის 9 მარტს... ყოველივე დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. მაგრამ 9 აპრილის შემდეგ გამოჩნდნენ მოჩურჩულენი — საიდან იცოდა გოგუაძემ, სისხლი რომ დაიღვრებოდაო. ამაზე ერთ ინტერვიუში ვუპასუხე — მე რომ მკითხონ, რა მოუვა კურდღელს, ტანკმა რომ გადაუაროს — შემიძლია ვიწინასწარმეტყველო — კურდღელი არ ჩავარდება კარგ მდგომარეობაში-თქო. რა წინასწარმეტყველება უნდოდა იმას — თავს ტანკს რომ ურტყამ, თავი რომ გაგიტყდება. კიდევ მეტიც: 9 აპრილს რომ არ დაღვრილიყო სისხლი, 9 ივნისს, 9 ივლისს, რომელიღაც დღეს აუცილებლად დაღვრიდნენ. თბილისში სისხლი უნდა დაღვრილიყო 1988 წლის 12 ნოემბერს, 29 ნოემბერს: ორივეჯერ ღმერთის წყალობით, უნივერსიტეტის მადლის დიდი წილის გამო გადავრჩით. ჩვენი ვიდეოკამერები იმას იღებენ უმეტესწილად, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ცის ვიდეო იწერს ყველაფერს, ყველას მოეკითხება თავისი პასუხი.

9 აპრილის ტრაგედია ორმაგი ტრაგედიაა ჩვენთვის. ერთი, რომ ის ანგელოზი ქალები და ბავშვები ჩვენი უგნურების მსხვერპლნი გახდნენ. მეორე ტრაგედია ის გახლავთ, რომ ჯერაც ვერ მოვინანიეთ, ვერ ვიგრძენით სირცხვილის გრძნობა. შარშანწინ, 9 აპრილს, კოტე გაბაშვილთან ერთად, რვა სასაფლაო მოვიარეთ. ყველგან იყო ჭირისუფალი. აბა, ერთი ჰკითხეთ, თუ იყო ვინმე ნათესავ-მეგობრების გარდა. ჯერაც არა გვწვავს სირცხვილი ჩვენი უგნურების გამო. ვიდრე არ მოინანიებს ერი, ქალაქი თუ სოფელი, ღვთის რისხვა არ შეწყდება. არ უნდა ამას დიდი მისნობა. თუ ჩვენ მწარე სიმართლე არ ვთქვით, მწარე სინამდვილე შეგვხვდება. სიმართლის თქმა, თუნდაც მიახლოებით, ძალზე ძნელია, არაპოპულარულია. მართლის მთქმელს რას არ მოგიგონებენ, შეგიძულებენ, მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ ერთმანეთი ავიტანოთ. წამგებიანია თვით ეს თემაც. ზვიადისტებს სწყინთ, — რას ჰქვია, ცუდი პრეზიდენტი იყო, რას ჰქვია არ იცოდა ქვეყნის მართვაო. ანტიზვიადისტებს სწყინთ, როცა არა პრეზიდენტ, არამედ ზვიად გამსახურდიას დადებით ბიოგრაფიულ მომენტებზე ვლაპარაკობთ. უწინარესი ფაქტია ის, რომ იგი იყო ჩვენი დროის კლასიკოსის, დიდი მწერლის, საყვარელი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს ცოტას არ ნიშნავს. მერედა, აკვნიდან დამოუკიდებელ საქართველოს გაიძახოდა. იგი წიგნიერი კაცი იყო. ამიტომ მის იუბილეს, ისტორია რომ ხელახლა დატრიალდეს, ისევ აღვნიშნავდით. რატომ არ უნდა მიგელოცა იმ ხალხის, ახალგაზრდების წინაშე მისთვის 50 წელი. მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი. ეს ფაქტია, ჩვენი სინამდვილეა. ცოტა გადაჭარბებულიცაა, როცა ვამბობთ, იუბილე გადაუხადესო. ეს იყო დაუგეგმავი შეხვედრა - მილოცვა. ვაჩუქე ბროლის თასი, ერთი ჩემი გერმანულ ენაზე თარგმნილი ნაშრომი „ბერი ზოსიმა და მამა სერგი“ — გულთბილი წარწერით. გადავეხვიეთ ძმურად. მიესალმნენ მერაბ კოსტავა და სხვებიც. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრა-იუბილემ მისი პოპულარობა ერთობ გაზარდა. მე მინდოდა ეს პოპულარობა სიყვარულისა და



სიკეთის მიმართულებით წარმართულიყო. მაგრამ სძლია ცდუნებამ ხელისუფლებისამ და სიყვარულმა გზა სიძულვილს დაუთმო. ისე კი „ბედი“ მაქვს. როგორც კი აღზევდებიან ხელისუფალნი, ათასი ხელისმომკიდე გამოუჩნდებათ, — მე ავიყვანე ტახტზე, ან მე ჩამოვიყვანე მოსკოვიდანო... მაშინ არავის გავახსენდები, როცა ნანადირევს ინაწილებენ. როს შეტრიალდება სურათი, პოპულარობა ანტიპოპულარობად იქცევა, გამოძებნიან საწყალ პრორექტორს — გოგუაძემ დააქცია ქვეყანაო.

1988 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტის გაზეთ „სტუდენტურ ფურცელში“ დაიბეჭდა ჩემი „ღია წერილი მეგობრებს“.

ეს იყო ერთადერთი უცენზურო გაზეთი (უცენზურო პოლიტიკური მნიშვნელობით და არა... მე ვიყავი ამ ფურცლის გამომშვებპასუხისმგებელი). მიმართვის ფორმა — „მივმართავ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბატონ მერაბ კოსტავას, — ეს იყო სენსაციური მოულოდნელობა „ამხანაგოს“ ორგანოში. ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა პოლემიკური პასკვილით აუწყა ქვეყანას — რა უნდა ვილაპარაკოთ აღზრდის შესახებ, როცა უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, ასე მიმართავს — „ბატონო ზვიად, ბატონო მერაბ“... ის რედაქტორი მაშინ ჯუმბერისტი და ანტიზვიადისტი გახლდათ, მერე ზვიადისტ-ანტიჯუმბერისტად გარდაისახა და არც ახლა მაკლებს ხელს მორალის დაწუნებით. საწყალი ყვარყვარე. ახალი ყვარყვარეები, ახალი კვაჭები სხვა სიმაღლეებს ავითარებენ... იმ წერილის გამო ბევრი მემდუროდა. შემდგომში ზოგს ვთხოვე ხელახლა გადაეკითხა. ერთმა გაკვირვებით მითხრა, მე სულ სხვანაირი, გუნდრუკის კმევისა და აღმაგზნებელი ხასიათის წერილი მახსოვდაო. გავიხსენებ ზოგ ადგილს (ისე კი, მთლიანად რომ დაიბეჭდებოდეს ეს წერილი, არ იქნებოდა ურიგო).

„ახალგაზრდობის ღელვამ, მოძრაობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ერი ძლიერია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ მოძრაობას სტიქიის საშიშროება აქვს. ვფიქრობთ, დადგა დრო დემონსტრაცია — მიტინგებიდან გადავინაცვლოთ დარბაზებში და ნამდვილ დისკუსიებში... მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ თბილისში გამართული უნებლიედ ნებადართული მიტინგების როლი დავაკნინოთ, მაგრამ დადგა ეტაპი, როცა ეს პროცესი მწვერვალსა და უფსკრულს შორის მიმდინარეობს. სტიქიურობა შეიძლება ერთხელ ან თუნდაც რამდენიმეჯერ, მაგრამ სისტემატურ სტიქიურობას რომ კარგი ბოლო არ ექნება, ეს ყველამ კარგად ვიცით... თუ ჩვენ ერთმანეთისადმი ატანა-დათმობაში არ გავმეცადინდით, მტრის სასიხარულოდ დავიშლებით...

მე არც მორჩილებასა ვქადაგებ, და არც შინ და გარეთ ურიცხვი მტრის მომრავლებას. მე მხოლოდ მკითხველ-მსმენელის პრეტენზია მაქვს და იმათგან, ვისაც ლიდერობის პრეტენზია აქვს, მეტ დაკვირვებასა და წინდახედულებას მოვითხოვ. წინ ძალიან ძნელი გზაა. ჯერჯერობით დიდსა და პატარას, რომანტიკული პოლიტიზმით აღტკინება გვაქვს, ლამაზი სპექტაკლის მონაწილე თუ მაყურებლებივით ვგრძნობთ თავს — ტრაგედია იქნება, ვინმემ უფლებამოსილად თქვას: — ქართველებს დემოკრატიის შნო არ ჰქონიათო. ქართველებს ტირანების საჯიშედ გვთვლიან, დიდ ქვეყნებს ვასაზრდოებთ პოლიტიკოსებით“.

ეს სტრიქონები რვა წლის წინ დაიწერა. პოლიტიკურ ორომტრიალში, სადაც ყველაფერი წამიწამ იცვლება, ნურავინ დაიკვეხნის, არაფერი მეშლებოდაო. არა მაქვს უცოდველი და უშეცდომო კაცის პრეტენზია. ამ მღვრიე დროს რომ გაჩნდი, მის პოლიტიკურ ცოდვილ პროცესში რომ ვმონაწილეობ, უკვე თავისთავად ვარ ცოდვას ნაზიარევი. არა მგონია, მე მხოლოდ ცუდ კაცებს ვძულდე. ბევრ კაი ადამიანს არ ვუყვარვარ. ვისაც ვძულდი, ახლა ვმეგობრობ, ვისაც ვმეგობრობდი, ზოგმა გამყიდა. ამიტომ იცვალოს ცვალებადობა; ვეცადოთ სიძულვილით ნუ ვუპასუხებთ ნურცა ცოცხალთ და ნურცა გარდაცვლილთ. ისტორია თვითონ გამოგვიტანს თავის განაჩენს (ისტორია და არა ისტორიოგრაფია. ამაზე სხვა დროს!).

**— 1992 წლის გაზაფხულიდან თქვენ სახელმწიფო საბჭოს მდივანი ბრძანდებოდით, იმ დროში ქვეყანას მართავდა შევარდნაძე თუ მართავდა ტრიუმვირატი? შეეძლო თუ არა ედუარდ შევარდნაძეს თავიდან აეცილებინა უკანონო ფორმირებების თარეში, სამეგრელოს დარბევა-აწიოკება?**

— ჩემი მდივნობის დროს საქართველოში ჩამობრძანდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ბატონი ედუარდის დიდი მეგობარი, ბატონი ბეიკერი. ერთი კვირის შემდეგ რადიო „კონტაქტის“ ღია ეთერში გამოვედი. ერთმა რადიომსმენელმა ღიმილიანი შეკითხვა გამომიგზავნა: რა მსგავსება - განსხვავებას ხედავთ თქვენსა და ბეიკერს შორის, თქვენს თანამდებობებს შორის? ჩემი პასუხიც ღიმილიანი გახლდათ: ჩემი თანამდებობა ისე შეეფარდება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამდებობას, როგორც აშშ-ს სახელმწიფო საქართველოს სახელმწიფოს. მაგრამ ბეიკერმა რომ გამიცვალოს სამსახური, გარწმუნებთ, იგი აქ ერთი კვირის მეტს ვერ გაძლებს. მე ცოტა მეტ ხანს გავძლებ იმ აწყობილსა და ავტოპილოტზე მიმავალ ქვეყანაში.

ქვეყანას ვინ მართავდა იმჟამად, ძნელი სათქმელია. მე ვფიქრობ, პოლიტიკური კვარტეტი: ბატონები შევარდნაძე, სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი. ოთხეულის სხდომას რამდენიმეგზის დავესწარი. ვერ შევატყვე რაიმე სიამოვნება მათ ამის გამო და შემდეგ აღარ ვესწრებოდი. რაც შეეხება სახელმწიფო საბჭოს სხდომებს, იგი რეგულარულად იმართებოდა და გარკვეულწილად, რაღაცნაირი პოლიტიკური დაწყნარება მაინც აქედან დაიწყო.

ერთხელ ოთხეულის (პრეზიდიუმის) გაფართოებულ სხდომას ვესწრები, ვზივარ ბატონი ედუარდის გვერდით, მეორე მხარეს თენგიზ კიტოვანი და გენერლები. ერთი რუსეთში ნამსახური ქართველი გენერალი (სხვათაშორის, კარგი კაცი) ლაპარაკობს, — სამხედრო ბაზები რუსებმა მთლად წესრიგში არ დაგვიტოვეს. ზოგან ფანჯარაა ჩალეწილი, ზოგან სახელურებია მოგლეჯილი და ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ბრჭყალები მაგ რუსებს. უცბად კაი მაგრად ვთხლიშე ხელისგული მაგიდაზე: რეებს ლაპარაკობ, რა ბრჭყალები უნდა აჩვენო, გინდათ მთლად მოასპობინოთ ამ რუსებს საქართველო. ბრჭყალების დაცლა მერე ნახე?! სხვათაშორის, გენერალმა და სხვებმაც ღირსებით მიიღეს ჩემი აღშფოთება, მაგრამ შემდეგ აღარ ვესწრებოდი ამ სხდომებს. მანამ კი განიხილებოდა აფხაზეთში სარკინიგზო და საავტომობილო ტრასების დაცვის საკითხი. ხანდახან ვფიქრობდი, ან მე არა ვარ სრულ ჭკუაზე, ან ესენი-თქო. დავარწმუნე თავი, რომ მე არ ვიყავი სრულ ჭკუაზე, როცა ვფიქრობდი, რომ ამას უეჭველი ომი მოჰყვებოდა. რაც შეეხება კითხვის ბოლო ნაწილს „შეეძლო თუ არა ედუარდ შევარდნაძეს თავიდან აეცილებინა უკანონო ფირმირებების თარეში, სამეგრელოს დარბევა-აწიოკება“, — გამიჭირდება რაიმე გითხრათ. იმჟამად ე.შევარდნაძე სრულად მართლა ვერ ფლობდა საჭეს. ყოველ შემთხვევაში, მას ეს, სამეგრელოს დარბევა-აწიოკება არ სურდა, მაგრამ საწყენია, რომ მან ეს ვერ შეძლო.

გაგრძელება იქნება



# »მე რეკომენდაციებს მივიღებ ყველასაგან, მაგრამ ზეწოლას არასოდეს»

28 ივნისს, პარლამენტის მორიგ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კონტროლის პალატის თავმჯდომარის რ.შავიშვილის მიერ 1992-1995 წწ. პალატის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მან აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი რთული იყო, მაინც შეიძლება ითქვას: ჩამოყალიბდა სტრუქტურა, რომელიც შეძლებს სასარგებლო მუშაობას სამომავლოდ. არსებობდა ხელისშემშლელი მიზეზები, რომელნიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. რ.შავიშვილმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია მუშაობა „დაუმტკიცებელი და დაუნიშნავი თავმჯდომარის“ პირობებში, მიუხედავად პრეზიდენტის მხარდაჭერისა.

იანვარ-თებერვალში კონტროლის პალატაში მოხდა კადრების შემცირება და ამ პერიოდში შეუძლებელი გახდა მუშაობა, რადგან დაიწყო დენა დიდი რაოდენობით ანონიმურმა წერილებმა. „ჩვენ ტალახს ვისვრით, თქვენ კი რამდენიც გინდათ იწმინდეთ“ — ასე ჩამოაყალიბა რ.შავიშვილმა მათი ძირითადი მიზანი.

პალატის განთავისუფლებულ თანამშრომელთა უმრავლესობამ დაიწყო მფარველის ძებნა. „ყველა პრობლემა დევს თვითონ კონტროლის პალატის სტრუქტურებში და პრობლემების გადაჭრა ყველასგან ჩაურევლად შეუძლია კონტროლის პალატის თავმჯდომარეს. მე რეკომენდაციებს მივიღებ ყველასაგან, მაგრამ ზეწოლას არასოდეს მივიღებ“, — განაცხადა დასასრულ რ.შავიშვილმა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი ო.მელქაძე. მან განაცხადა: „სამწელიწადნახევარი არ იყო საჭირო მოთმინების ფიალის ასავსებად, ბ-ნი რეზო ძალზე თვითკმაყოფილია იმ სქელტანიანი ანგარიშების წარმოდგენით, რომელნიც ყოველწლიურად იზრდება. წარმატებაზე ფიქრი და საუბარი ზედმეტია“. მანვე წაიკითხა ი.სარიშვილი-ჭანტურიას მიმართვა რ.შავიშვილისადმი, სადაც ქ-ნი ირინა მის განცხადებას გადადგომის შესახებ უწოდებს „გაქცევას“.

შენიშვნების, შეკითხვების შემდგომ პარლამენტარმა ნ.კირთაძემ დააყენა კონტროლის პალატის თავმჯდომარის არჩევის საკითხი და მოითხოვა შეტანილიყო იგი დღის წესრიგში, რაც მიღებულ იქნა. კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით დასახელებულ იქნა რეზო შავიშვილი. სახელობითი კენჭისყრით (175 მომხრე, 2 მოწინააღმდეგე) მიღებულ იქნა მისი კანდიდატურა.

რომ იტყვიან, „სამართალმა პური ჭამა“. ბ-ნი რეზო შავიშვილი ხუთი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს ამ სტრუქტურას და იმედია, სამართლიანადაც.

**ანა ჯუღელი**

საპარლამენტო კორესპონდენტი

# ბესო ჯუღელი:
# ახალ პარლამენტში კარგი ცხოვრებიდან მოსული ხალხია...

**საზაფხულო არდადეგების წინ საკანონმდებლო მუშაობის შეფასება ვთხოვეთ პარლამენტარს, ედპ — ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მთავარი კომიტეტის წევრს, „მრეწველთა კავშირის“ თავმჯდომარეს, ბ-ნ ბესარიონ ჯუღელს.**



**— იწყება საპარლამენტო არდადეგები. როგორ აფასებთ პარლამენტის მუშაობას განვლილ პერიოდში?**

— დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბევრი კანონია მისაღები. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ კიდევ გაგრძელებულიყო სესიები. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი პარლამენტი „ჯიბის პარლამენტის“ შთაბეჭდილებას ტოვებს და აი რატომ: ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი ინვესტორის, კერძოდ მარტინ ბაუერის, ინიციატივით (ეს მის ინტერესებში შედიოდა) პრეზიდენტის მიერ შემოტანილ იქნა კანონ-პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო ჩაიზე გადასახადების მოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ მე ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ვარ, რომ გადასახადები დაბალი იყოს, ამ კანონის მოსმენის დროს გამოვედი მის წინააღმდეგ, რადგან არ შეიძლება ცალსახად რაღაც გადაწყვეტილების მიღება, პარლამენტმა უნდა გაიაზროს, პრიორიტეტები განსაზღვროს და მერე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. რატომ უნდა შეზღუდულიყო გადასახადი ჩაიზე და არა, დავუშვათ, ღვინოზე. პარლამენტმა არ გაითვალისწინა ჩემი აზრი და 138 კაცმა დადებითი ხმა მისცა პრეზიდენტის მიერ შემოტანილ პროექტს. ერთადერთი მე ვიყავი მოწინააღმდეგე. მერე მოხდა ისე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა ამ კანონისადმი, რის გამოც პრეზიდენტმა ხელი აღარ მოაწერა მას და დღეს კენჭისყრაზე დადგა საკითხი ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ისევ ხმათა უმრავლესობით იქნება უარყოფილი ეს კანონ-პროექტი. ასე მუშაობა არ შეიძლება, საჭიროა საკუთარი აზრის გამოხატვა. როდესაც ვამბობ, რომ მუშაობით გარკვეულად უკმაყოფილო ვარ-მეთქი, ასეთი შემთხვევები მაქვს მხედველობაში.

**— იმ პერიოდში, რაც ახალი პარლამენტი მუშაობს, მიღებული კანონების რაოდენობა და ხარისხი დამაკმაყოფილებელია თუ არა?**

— რაოდენობრივად მისაღებია იმიტომ, რომ დავაჩქარეთ კანონების მიღება. ხარისხი, რასაკვირველია, დაბალი იქნება. ჩემი აზრით, საჭიროა კიდევ ერთი თვე გაგრძელდეს მუშაობა. პარლამენტართა დასვენებისათვის სრულიად საკმარისია ერთი თვეც.

**— წარმოადგენს თუ არა დღევანდელი პარლამენტი ჩვენი ქვეყნის სახეს და როგორია იგი, დადებითი თუ უარყოფითი?**

— ქვეყნის სახეს არ წარმოადგენს. სჯობდა, პარლამენტში რადიკალებიც ყოფილიყვნენ, მაშინ ჩვენ გავითვალისწინებდით იმ ხალხის აზრს, რომელნიც ოპოზიციაში არიან. ხარისხობრივად თვითონ პარლამენტი ცუდი არ არის, არის აქ რამდენიმე ათეული პიროვნება, რომლებიც კანონებზე ნორმალურად მუშაობენ!

**— წინასთან შედარებით ახალი პარლამენტი უფრო „მშვიდობისმოყვარეა“, არ არის ექსცესები. რის გამოა ეს გამოწვეული, მორჩილნი არიან თუ უბრალოდ არაემოციური ადამიანებისაგან არის დაკომპლექტებული?**

— რა თქმა უნდა, უფრო მორჩილია, შედარებით „კარგი ცხოვრებიდან“ მოსული ხალხია და ამიტომ ნერვებიც უფრო მშვიდი აქვთ.

**— ხდება დარღვევები ხმის მიცემის პროცედურის დროს. რომ დავაკვირდეთ, ეჭვი ჩნდება, რომ წინასწარგანზრახვითაა ეს გაკეთებული.**

— ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეს დარღვევა ოფიციალურად დავაფიქსირეთ. მაგ. დეპუტატი ბერაია არ ესწრებოდა სხდომას და, საერთოდ, ქალაქშიც არ იყო. მისმა პულტმა დადებითი ხმა მისცა. თუ არ ვაღიარებთ, რომ მაგიურ ძალებთან გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს აშკარა დარღვევაა. ასე რომ, შემთხვევები არის, მაგრამ ამ ბოლო დროს შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ყველა ერიდება სხვისი პულტის გამოყენებას.

**— რას იტყოდით თქვენი ფრაქციის შესახებ?**

— ჩვენი ფრაქცია ახალი ჩამოყალიბებულია, მას ჰქვია ედპ-ეროვნულ—დემოკრატიული პარტია, ვართ ცამეტი კაცი. ეს არის ირინა სარიშვილ-ჭანტურიას იდეოლოგიის მხარდამჭერი ფრაქცია და მე ვფიქრობ, რომ ამ შვებულების პერიოდში იგი სერიოზულად იმუშავებს თავის სტრატეგიაზე, იმ კანონ-პროექტებზე, რომლებიც შეიძლება საშემოდგომო სესიაზე გავიდეს, ე.ი. ფრაქცია თავის ინტელექტუალურ პოტენციალს უფრო ქმედითად გამოიყენებს.

**— თქვენ ედპ-ს მთავარ კომიტეტში ხართ, რამ განაპირობა თქვენი იქ დარჩენა?**

— ბრმა მხარდამჭერი არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის თუ მიმდინარეობის. მე მჯერა გია ჭანტურიას იდეოლოგიისა, მისი, როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწისა და რადგანაც ირინა სარიშვილ-ჭანტურია მთლიანად ამ იდეოლოგიას უჭერს მხარს, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.

**— აქვთ თუ არა თქვენი ფრაქციის მოწინააღმდეგეებს პოლიტიკური მომავალი?**

— ისინი პროცენტულად (20%) მცირენი არიან და ამის გამო არა მგონია, რომ რაიმე სერიოზული მომავალი ჰქონდეთ. ისე კი, როგორც მოქალაქე და ადამიანი, მე არასოდეს ცუდად არ მოვიხსენიებ ჩემს ყოფილ თანაპარტიელებს.

**— პარლამენტის მუშაობის ამ პერიოდში მიღებულ კანონთაგან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე აუცილებლად?**

— მიუხედავად იმისა, რომ კანონი გაკოტრების შესახებ მესამე მოსმენით არ არის მიღებული, იგი ძალიან სერიოზულია. ასევე აქტუალურია კანონი მონოპოლიური საქმიანობის შესახებ. ეს ის კანონებია, რომელნიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის მექანიზმის ამოქმედებისათვის.

**— რას იტყოდით „მრეწველთა კავშირის“, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მუშაობის შესახებ?**

— ის კანონ-პროექტები, რომლებიც პარლამენტში გამოდის, განიხილება ჩვენი კავშირის სხდომებზე. რამდენადაც შესაძლებელია, ვცდილობთ კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღებას. საშემოდგომო სესიებისათვის კავშირი სერიოზულად მოემზადება.

**მაშ ასე, პარლამენტარები არდადეგებზე მიდიან...**

ესაუბრა გ. იზოშვილი

პოლემიკა

# მე, ხომასურიძე — გაგრის გმირი

**გაზეთ „საქართველოში“ ა.წ. (17-20) ივნისის №22 (1460) დაიბეჭდა აწ უკვე ორჯერ თადარიგში გასული პოლკოვნიკის დავით ხომასურიძის ინტერვიუ ლაკონური სათაურით: „კიტოვანმა შევარდნაძეს დაურეკა: — რა უნდა გაგრაში, რატომ მიდის? (ჯაბას გულისხმობდა)“.**

**როგორც ბატონი პოლკოვნიკი აღნიშნავს ინტერვიუში, იგი იყო გაგრაში საბრძოლო მოქმედების მთავარი შტაბის უფროსი, ამასთანავე იგი ყოფილა 26-ე ბატალიონის მეთაურიც.**

ჟურნალისტი — მხედრიონი არ იყო? თენგიზ კიტოვანი მხედრიონის მოქმედებას აფხაზეთის ომში ნეგატიურად თვლის, თქვენ რას იტყოდით?

პოლკოვნიკი ხომასურიძე: სრული პასუხისმგებლობით შემიძლია დავადასტურო, რომ ბატონი თენგიზი მართალია.

პოლკოვნიკ ხომასურიძის სიტყვებით, „ერთ დღეს“ აფხაზებს გაგრის მიმართულებით შეტევა განუხორციელებიათ, რატომღაც ბატონი პოლკოვნიკი აფხაზების შეტევის თარიღს არ ასახელებს — ეტყობა, დღემდე ინახავს სამხედრო საიდუმლოებას, ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულებულა.

„ყველაზე ცუდი კი ის მოხდა, რომ ვიღაცამ ზურგში ატეხა პანიკა, თითქოს მე და ჩემი მოადგილე, პაატა ნაზარიაშვილი, ბრძოლაში დავიღუპეთ“ — ამბობს ბ-ნი პოლკოვნიკი, მაგრამ ამ ბრძოლაში „საწყენიც“ მომხდარა: საწყენი იყო ისიც, რომ მეორე დღეს გაგრის გამგებელმა, ჯონი ლატარიამ, ტელევიზიას ინფორმაცია მიაწოდა, თითქოს გაგრის მხედრიონმა მოიგერია იერიში. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები აფხაზეთის ომში ხშირი იყო, თითქოს არაფერი შავდებოდა, მოგება საერთო მოგება იყო, მაგრამ ასეთი ფაქტები გვარდიასა და მხედრიონს შორის გათიშულობას და კონფრონტაციას იწვევდა.

საოცარია, საერთო გამარჯვებამ გათიშულობა და კონფრონტაცია რატომ უნდა გამოიწვიოს? თუ პირიქით?!!

ჟურ. — როდის ჩამოვიდა გაგრაში მხედრიონი?

ბ-ნი პოლკოვნიკი — სწორედ ამ წარმატებული ოპერაციის შემდეგ გავიგე, რომ თბილისიდან მხედრიონის დიდი ჯგუფი აპირებდა ჩამოსვლას, დაახლოებით 600 კაცი, ჩვენ კი 800 კაცი ვიყავით, დისციპლინირებული სამხედრო შენაერთი. გამოვფრინდი თბილისში ორი მისიით: თენგიზ კიტოვანთან შემეთანხმებინა გაგრის ბატა-

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუკი რუსეთში მიწა იძრა, მთელი მსოფლიო შეზანზარდება



# თუკი კომპარტია დაბრუნდა...

მართლაც, რომ დაბრუნდნენ? ხვალ რომ წითლებმა აიღონ ძალაუფლება რუსეთში? დასავლეთის ქვეყნებში, ამ ბოლო დროს, უცნაური ტენდენცია შეინიშნება: — როგორმე მოერიდონ შესაძლებელი შედეგების გამუქებას, მოახდინონ მათი „დედრამატიზირება". დასავლელი მიმომხილველებისგან ხშირად გაიგონებთ: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება, ელცინი თუ ზიუგანოვი?! ასეა თუ ისე, ორთავე „ბოლშევიკური რძითაა" გამოკვებილი. ერთი ეს იქნება, რომ კომუნისტების გამარჯვების შემთხვევაში, რუსული კაპიტალი ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლებს".

მაგრამ საკმარისია, მოსკოვში ჩახვიდე და პირისპირ შეეჯახო კომუნისტების საჯაროდ აფიშირებულ ლოზუნგებს ან გაესაუბრო ზიუგანოვის მომხრეებს, რომ წამსვე ცივი ოფლი დაგასხამს: ყოველივე, რაც ყველაზე უფრო ექსტრემისტულია, ყველაზე მეტად ანტისემიტურია, ყველაზე მეტად რეაქციონერულია დღევანდელი რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე, სწორედ კომუნისტების მიერ შექმნილი „სახალხო-პატრიოტული" ბლოკის წიაღშია მოქცეული. სინამდვილე ყოველგვარ გამონაგონს აჭარბებს.

უპირველეს ყოვლისა ლიდერთა ჯგუფი: უდრეკი და შეუპოვარი კომუნისტების წინამძღოლნი, „წითელი დირექტორი" პეტრე რომანოვი და ყოფილი „აპარატჩიკი" ვალერი კუპცოვი, ორთავე იმედგაცრუებული გორბაჩოვისტი, მსგავსად ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკოლოზ რიჟკოვისა; მებრძოლი ავანგარდის მეთაური, მემარცხენე ექსტრემისტი ვიქტორ აპილოვი; მემარჯვენე ექსტრემისტი და ულტრანაციონალისტი, შედარებით ახალგაზრდა სერგეი ბაბურინი; სტალინელი გენერლები ვალენტინ ვარენიკოვი და ალბერტ მაკაშოვი, ყოფილი პუტჩისტები, მათ გვერდით კი ანატოლი ლუკიანოვი და ალექსანდრე რუცკოი. როგორც ხედავთ, კომუნისტ-პატრიოტთა ოჯახური ფოტოსურათი ერთობ მრავალფეროვანია, თავბრუდამხვევად ჭრელი.

რა თქმა უნდა, აქა-იქ გვხვდებიან ადამიანები, რომელთა მიზანი მართლაც რეფორმების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაა. მაგრამ ისინი მიშველ კომუნისტურ სხეულზე აფარებული ლეღვის ხის ფოთლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. აბა სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, როდესაც „მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ს ფურცლებზე ამოიკითხავ, რომ ნაციონალ-კომუნისტების ერთ-ერთი თავგამოდებული იდეოლოგი, ზიუგანოვის უერთგულესი მიმდევარი ვასილი პოდბერიოზკინი, შეიძლება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრად მოგვევლინოს; ანდა აი, ვასილი სტაროდუბცევი, კარიკატურული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის პორტფელს უმიზნებს.

გენერალი ვლადისლავ აჩალოვი, რომელიც 1991 წლის იანვარში ლიტვის „სამაგალითოდ დასჯას" ითხოვდა, ეტყობა, პაველ გრაჩოვს შეცვლის... ყოფილი ექს-პრეზიდენტი რუცკოი ვიცე-პრემიერი გახდება, ხოლო მთავრობას სათავეში ჩაუდგება გორბაჩოვის ეპოქის „გოსპლანის" ყოფილი თავმჯდომარე იური მასლიუკოვი. „თუკი ინფორმაციის მინისტრის პოსტი შემომთავაზეს, უარს არ ვიტყვი" — აცხადებს „თავმდაბალი" ვიქტორ ანპილოვი, რუსეთის პოლიტიკური თეატრის ყველაზე მეტად ექსტრემისტულად განწყობილი პერსონაჟი, გულისამრევი სტატიებისა და საჯარო გამოსვლების ავტორი, „მუშური რუსეთის" („трудовая Россия") ლიდერი. ტელევიზიით გამოსვლისას იგი ყველას გასაგონად აცხადებს, რომ „ეკრანს მოაშორებს ამ უცხო ტომის ადამიანებს, რომლებმაც აავსეს სამამულო ტელევიზია". „მე ინტერნაციონალისტი ვარ, მაგრამ ძალიან შორს ნუ შევტოპავთ... ტელევიზია ებრაელების საკუთრებად გადაიქცა".

რაც შეეხება ზიუგანოვს, ვინც ეს ადამიანები ერთ გუნდად შეკრიბა, მასზე ერთმნიშვნელოვანს ძნელად თუ იტყვი. გენადი ანდრეევიჩი „ზღვარზე მოსიარულე" კაცია, ორაზროვნად ლაპარაკობს და ძნელი გასაგებია, რას ფიქრობს და რის თქმა სურს. ზიუგანოვი ცდილობს „გაალამაზოს" საკუთარი პარტიის პროგრამა. „ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს დავუბრუნდეთ წარსულს", — აცხადებს კომუნისტების ლიდერი. იგი, თუკი მის სიტყვებს ვენდობით, „მრავალპარტიულობისა და შერეული ეკონომიკის მომხრეა".

მაგრამ მისი იდეოლოგიური წარსული და მეგობრების წრე — იგი მუდამ პარტიის უკიდურესად ექსტრემისტულ ფრთას მიეკუთვნებოდა. ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. მაგალითად, ზიუგანოვის გვერდით მუდამ ვხედავთ ალექსანდრ პროხანოვს, აშკარა ანტი-დასავლური მიმართულების გაზეთ „ზავტრას" მთავარ რედაქტორს. უკანასკნელი წლების მანძილზე ზიუგანოვს ერთხელაც არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ მარქსისტული იდეოლოგიის პრინციპები, აროდეს დაუძრავს სიტყვა მრავალწლიანი კომუნისტური მმართველობის სავალალო შედეგებზე. მისი აზრით, „სტალინს რომ კიდევ ხუთი ან შვიდი წელი დასცლოდა, რუსეთი სულიერ და სახელმწიფოებრივ აღორძინებას მიაღწევდა".

რამდენიმე კვირის წინ რუსულმა დემოკრატიულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს კომუნისტური პარტიის საიდუმლო „პროგრამა მაქსიმუმის" შინაარსი, პროგრამისა, რომელიც კომუნისტთა სახელმწიფოს სათავეში მოსვლისთანავე ამოქმედდება.

პროგრამა ითვალისწინებს „დრაკონული ზომების" გამოყენებას „რათა ერთხელ და სამუდამოდ მოიშთოს კონტრრევოლუციის სოციალური და ეკონომიური საფუძველი". ამისთვის უნდა განხორციელდეს „უკანონოდ მისაკუთრებული სიმდიდრის ექსპროპრიაცია". უნდა დაკანონდეს „სახელმწიფოს ყოვლისმომცველი კონტროლი ფინანსებზე, ბანკებზე, შემოსავლებსა და კაპიტალის მოძრაობაზე".

ამასთან ერთად, ეს პროგრამა ითვალისწინებს ფასების გაყინვას, „ფუფუნების საგნების" შეძენისას პირადობის მოწმობის წარდგენას, მანეთის „ადმინისტრაციულ კურსს" (1 მანეთი = 500 დოლარი) და პროტექციონისტული ზომების შემოღებას, რათა „აიკრძალოს სამამულო პროდუქციის საზიანოდ უცხოური წარმოების საქონლის იმპორტი". კომუნისტები ერთხმად უარყოფენ მსგავსი პროგრამის არსებობას. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: პროგრამის პუნქტები ზიუგანოვის ლოზუნგების გამოძახილია. ეგორ გაიდარი დარწმუნებულია, რომ კომუნისტების აღზევება ეკონომიკური კატასტროფის ტოლფასი იქნება: „გაიზრდება ინფლაცია და დაეცემა წარმოების ტემპი". დოლარის აკრძალვა და საზღვრების ჩაკეტვა წამსვე დააცარიელებს მაღაზიების დახლებს. ყოველივე ეს კი ტოტალური შიმშილის წინაპირობაა. „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი იგორ გოლომბიევსკი წერს: „კომუნისტების მოსვლით გაიხსნება პანდორას ყუთი. ყველა, ვისაც ძალუძს ილვაწოს რუსეთის აღორძინებისთვის, საბოლოოდ ფეხს ამოიკვეთავს ქვეყნიდან. რაც არ უნდა ცუდს ველოდოთ ელცინისგან, ჩვენ ყოველნაირად უნდა ავარიდოთ თავი უარესს. უარესით ზიუგანოვი გვემუქრება".

დაბოლოს, ამერიკელი ისტორიკოსის რიჩარდ პაიპსის პროგნოზი: „ტოტალიტარიზმა სული განუტევა, მაგრამ კომუნისტები თან მოიყოლებენ დიქტატურას და საერთო დომხალი გარდუვალია".

**ლორ მანდევილი**

(„მონდი", 13 ივნისი, 1996)



ზიუგანოვი და ჟირინოვსკი

# რუსული რულეტი

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ რუსეთი ფიქრობდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაემშვიდობა საბჭოთა დიქტატურას. დღეს კი გასაოცარი რამ ხდება: უეცარი გარდატეხა და რუსეთი მზადაა საკუთარი ბედი ანდოს უფერულ და უსახო ბიუროკრატს გენადი ზიუგანოვს, რომლის ერთადერთი მიზანია კომუნიზმის აღორძინება, ერთადერთი ლოზუნგი კი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს".

ამ თავბრუდამხვევ ცდუნებას ერთადერთი პიროვნება თუ შეაკავებს: ბორის ელცინი, არასრულყოფილი დემოკრატი. დასავლეთს მხოლოდ მისი იმედი აქვს, თუმცა, შიმონ პერესისა არ იყოს, შეიძლება ისიც დამარცხდეს არჩევნებში. გენადი ზიუგანოვს, „ზასტოის" ჭაობიდან ამოტივტივებულ ურჩხულს, ერთი ფეხი კრემლის კიბეზე უდგას. სუნთქვაშეკრული მსოფლიო შიშით ადევნებს თვალს არჩევნების მიმდინარეობას რუსეთში. რა მოხდება 3 ივლისს? თუკი რუსეთში მიწა იძრა, მთელი მსოფლიო შეზანზარდება. აშში ეჭვი არავის ეპარება.

ბორის ელცინსა და გენადი ზიუგანოვს არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან, არც საზოგადოებრივი შეხედულებანი, არც მიზნები. მხოლოდ ეს არის, რომ ორთავე ერთი და იმავე მასალისგანაა გამოძერწილი. ორთავე ყოფილი პროვინციელი „აპარატჩიკია", მაგრამ ბორის ელცინს, ზიუგანოვისგან განსხვავებით, მორჩილი დამქაშისა არაფერი სცხია. 1991 წელს პრეზიდენტად არჩეული და მილიონობით თანამემამულისაგან ნაალერსევი ელცინი ნორჩი რუსული დემოკრატიის იმედებს ასახიერებს. შეიძლება სწორედ ეს მხურვალე მხარდაჭერაა მიზეზი იმისა, რომ ელცინი ინერტულ, ავადმყოფ და ლოთ მეფედ იქცა, რომელიც „უკაზებით" მართავს ღრმა კრიზისში მყოფ სახელმწიფოს და ვერაფერს უხერხებს მაფიის ზღვარულებ პარპაშს. ჩეჩნეთის კონფლიქტმა ლახვარი ჩასცა მის ავტორიტეტსა და პოპულარობას.

ელცინის ძალა მთელი სიღრმით მაშინ წარმოჩნდება, როდესაც იგი ვინმეს უპირისპირდება და ებრძვის. აი, ახლაც ზიუგანოვის მიერ გაღიზიანებული, იგი თითქოს გაახალგაზრდავდა და მთელი შემართებით უტევს მეტოქეს: „ან მე, ან სამოქალაქო ომი". ეს უეცარი სახეცვლა კეთილ გავლენას ახდენს ამომრჩევლებზე.

მისგან განსხვავებით, ზიუგანოვის ყოველდღიური საქმიანობა, ამ პერიოდში, აგრესიულობის კვალს არ ატარებს. იგი დინჯად ავლებს თავის ხნულს. თუკი „კრემლის პატრონზე" მიდგება სიტყვა, ზიუგანოვი, პირველ რიგში, მწარე ირონიით იხსენებს მის „სკლეროზს" და არყისადმი მიდრეკილებას. ზიუგანოვი, როგორც ეს ნაღდ რუსს შეეფერება, ზომაზე სვამს — ადამიანების კეთილგანწყობა რომ მოიპოვო, უნდა დალიო კიდეც მათთან ერთად. მის წითელ შოვინიზმს აქა-იქ ყავისფერი გადაჰკრავს, რადგანაც მუდმივად თანამშრომლობს მემარჯვენე ექსტრემისტებთან. ზიუგანოვი, არცთუ ისე დიდი გაქანების კაცი, თავის დროზე იური ანდროპოვის მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდა და КГБ პატრონმა იგი ცკ-ს იდეოლოგიის განყოფილებაში გაამწესა, თუმცა, მაღალ თანამდებობაზე აროდეს ყოფილა.

ელცინისგან განსხვავებით ზიუგანოვი დიდი ვაჟკაცობით არ გამოირჩევა. 1991 წელს, ისევე როგორც 93-ში, იგი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ პირველი პუტჩის დასაწყისშივე მოსკოვს განერიდა და გეზი შავი ზღვის სანაპიროსკენ აიღო. 1993 წელს, შეტევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მან დასტოვა თეთრი სახლი. დე, სხვებმა ზღონ. მას კი უფრო მნიშვნელოვანი საქმე აკისრია. და აი, მისი მცდელობის შედეგად, კომუნისტური პარტია წამყვან ადგილს იკავებს რუსეთის პოლიტიკური ცირკის არენაზე. ამას კი დუმა-ს არჩევნებში გამარჯვება მოყვა.

ზიუგანოვი დღევანდელი იმედგაცრუების მძლავრ ზვირთს აყვა, სწორედ ეს არის მისი მთავარი კოზირი. აბა, რომელ რუს „ბაბუშკას" არ ახსოვს ძეხვის გუშინდელი ფასი. ზიუგანოვი მაგნიტივით იზიდავს პენსიონერებს, მოსკოვის „წითელ სარტყელს" (მცირე ქალაქებსა და დასახლებებს), პროლეტარიატს, გაზისა და შუქის გარეშე შთენილ სოფლებს. ლიდერის გარშემო სტუდენტების გარკვეული ჯგუფიც ფუსფუსებს. „ბრინჯაოს კაცი" ელვას აკვესებს და თავს ესხმის კაპიტალისტურ ბარბაროსობას, ეროვნული სუვერენიტეტის შელახვას, დასავლელ „ზვიგენებს", რომლებიც „სამშობლო ქვეყნის რესურსებს ნთქავენ". იგი გამოსავალს ერთში ხედავს: საბჭოთა კავშირის ყოფილი ძლიერების აღდგენა — აი, ეს არის მთავარი. მას სურს დააბრუნოს ძველი სახელწოდება და დროშა, პირობას დებს, რომ სახალხო რეფერენდუმზე გაიტანს ნამგლითა და ჩაქუჩით დამშვენებული წითელი ბაირაღის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# გონს მოდი, ქართველო!

# «ჯინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები»

ყოველგვარი შესავლის გარეშე შეიძლება ითქვას, დღეს პრაქტიკულად სკოლა სულს ღაფავს. მკითხველი იოლად დამეთანხმება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ბათუმის (სამწუხაროდ, არა მარტო ბათუმის) არც ერთ სკოლას ბოლო 4-5 წელია არ შეუძენია არც ერთი მერხი, სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებს არ შემატებია არც ერთი ცენტის ღირებულების სასწავლო-დიდაქტიკური მასალა: რუკები, პლაკატები, ხოლო თანამედროვე კომპიუტერული აპარატურის არსებობის შესახებ ჩვენი სკოლები უმეტეს შემთხვევაში ყურმოკრული ამბების დონეზე რჩებიან. სკოლებში მოიშალა და მწყობრიდან გამოვიდა გათბობისა და წყალმომარაგების სისტემები, ჩაიმტვრა მინები. სიცივის, ქარისა და მტვრის შესაკავებლად სკოლის ფანჯარაზე გაკრული პოლიეთილენის (ცელოფანი) აფსკი დღევანდელობის ჩვეულებრივი ატრიბუტია, სკოლათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსწავლეებს არ ჰყოფნით მერხი და სკამი. პრაქტიკულად უხელფასობით გაწამებული ბევრი კარგი პედაგოგი თავის გადარჩენის ინსტიქტით უნებლიედ მოღვაწეობის სხვა სფეროში აღმოჩნდა, რის გამოც დღეს არა თუ სოფლის, არამედ ქალაქის მრავალ სკოლაში შესაბამისი საგნის სპეციალისტის უყოლობის გამო თვეობით ცდება გაკვეთილები. ზამთრის სუსხთან უთანასწორო ჭიდილში სკოლებში დამკვიდრებული 30 წუთიანი გაკვეთილი საუკეთესო გამოსავალია, უარესი კი — მოსწავლეთა დათხოვნა „ახალი ტიპის“ და გაურკვეველი მოცულობის არდადეგებით დათბობამდე.

რა გასაკვირია, თუ ზემოთ აღწერილი ყოფის ფონზე შვილის მომავლით დაინტერესებული მშობელი არ იშურებდეს სახსრებს, რათა დაუქირაოს შვილს ჩვენი საზომით ძვირად ღირებული კერძო პრაქტიკის მქონე მასწავლებელი და ნაწილობრივ შეავსოს სკოლის მიერ დაშვებული ხარვეზები, მაგრამ განათლების მიღების ასეთი ფორმა ყველა მოკვდავის ხვედრი როდია. იგი მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ (პირობითად ამ ხერხს მდგომარეობიდან გამოსვლის პირველი გზა ვუწოდოთ).

მეორე, უფრო მიმზიდველი და მაცდუნებელი გზა დემოკრატიის, კეთილი მეზობლობისა და ჰუმანიზმის შირმით შემოგვთავაზა მეზობელი თურქეთის კერძო ფირმა „ჩილდარმა“, რომელმაც უკვე ორი წელია დააფუძნა თბილისსა და ბათუმში „ინგლისურენოვანი“ ლიცეუმი. ბათუმის სინამდვილეში მას ბინად ნინოშვილის ქუჩის №55-ში მდებარე საბავშვო ბაღის შენობა მიუჩინეს. თურქულმა მხარემ კეთილმოაწყო შენობა, აღჭურვა სკოლა ინვენტარით და ჩვენივე ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით გაუკეთა რეკლამა. ნორმალური განათლების მიღების მიზნით ბევრმა მშობელმა ჯერ კიდევ 1994-1995 სასწავლო წელს მიაშურა ლიცეუმს და 60 საუკეთესო მე-5 — მე-6 კლასელი ბათუმელი მოსწავლე სამ 20-ბავშვიან ჯგუფში ჩაირიცხა,, რაც უდაოდ ჩვენი სკოლის 35-40 მოსწავლიან კლასთან შედარებით სულის ცხონებაა. მიმდინარე სასწავლო წელს დასახელებული სამი ჯგუფიდან 20 მოსწავლე სხვადასხვა მიზეზების გამო გამოეთხოვა ლიცეუმს. ახალი შევსება კი 40 საუკეთესო ბათუმელი ბავშვის ხარჯზე მოხდა, რაც ლიცეუმის პრაქტიკის ჩვეულებრივი მოვლენაა.

„ინგლისურენოვანის“ შირმამ, ნორმალურმა (ისეთი, როგორიც 70-იანი წლების ყველა საშუალო სკოლას ჰქონდა) საკლასო ოთახებმა თუ სასკოლო ინვენტარმა ბრმად მიიზიდა ზოგიერთი მიამიტი ჩვენი თანაქალაქელი და კეთილმა მეზობელმა გააჩაღა თავისი შორს გამიზნული პოლიტიკა იდეოლოგიური ექსპანსიის სისრულეში მოსაყვანად. ამ ბრალდების დასაბუთებისათვის მივმართავთ ფაქტებს, რომლის დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება, თუ ცივი გონებით განვსჯით 1995-1996 სასწავლო წლის პირველი და ოთხი სექტემბრის ჩვეულებრივ შეხვედრებს ლიცეუმის მესვეურებთან.

ტრადიციისამებრ, ახალი სასწავლო წელი ლიცეუმში მილოცვით დაიწყო. ეს პატივი წილად ერგო ამავე სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ნ.კახიძეს, რომელმაც მოსწავლეები და მათი მშობლები ქართულ ენაზე შემდეგნაირად დამოძღვრა: **„ბავშვებო! დღეს პირველი სექტემბერია. ჩვენი ქვეყნის სხვა სასწავლებლების მსგავსად ლიცეუმშიც დაიწყო ახალი სასწავლო წელი, რასაც გულითადად მოგილოცავთ. დირექტორი დღეს სასწავლებელში არ გახლავთ, რადგან აგენის (ხელი გაიშვირა თურქეთიდან მოწვეულ პერსონალზე) პრემიერი ჩილერი თბილისშია და იგი (დირექტორი) წაბრძანდა ჩვენს დედაქალაქში, რათა შეუერთდეს თურქეთის დელეგაციას. იმდენად, რამდენადაც დღეს პარასკევია (ჯუმა მუსულმანური რელიგიის წმინდა დღეა, მორწმუნეთათვის უქმე), თანაც დირექტორი თბილისში იმყოფება, სწავლა დაგეწყებათ ორშაბათს, — 4 სექტემბერს. მე-7 კლასელებს გთხოვთ ორშაბათს ლიცეუმში გამოცხადდით ფორმით, ხოლო ახლადჩარიცხულები კი მოხვალთ იმით, რაც გაგაჩნიათ. 4 სექტემბერს მურად ბეი (ასე ჰქვია დირექტორს) მეტად ორიგინალურად კვლავ ულოცავს ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. საზეიმო სიტყვის მოსასმენად ბავშვები კლასების შესაბამისად ორ მწკრივად მოაწყვეს სკოლის ეზოში, რის შემდეგ დირექტორმა სამხედრო წესისამებრ რამდენჯერმე გასცა ბრძანება „სმენა“, „თავისუფლად“. ბოლოს საწადელ წესრიგს რომ მიაღწია, ათ-თხუთმეტ წუთიანი მისალოცი სიტყვა წარმოთქვა თურქულად, რომელსაც თარჯიმანი ქართულად თარგმნიდა ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. საზეიმო სიტყვის დამთავრების შემდეგ ბავშვები, თანახმად სამხედრო სამწყობრო წესებისა, ოცეულებად ლიცეუმის შენობაში შეუშვეს.** სწავლა დაიწყო. მოსწავლეთა მშობლები კი მიიწვიეს დარბაზში საორგანიზაციო საკითხების გასაცნობად. მურად ბეიმ კვლავ შეახსენა მშობლებს თურქეთ-საქართველოს კეთილი მეზობლების შესახებ და ხაზი გაუსვა თურქული მხარის მიერ ქართველი ახალგაზრდობისადმი გამოჩენილი მზრუნველობის მნიშვნელობას ორი მეზობელი ქვეყნის შემდგომი დაახლოებისათვის, რომ ქართველებს დღეს ძალზე გვიჭირს, მიუხედავად ეკონომიკურად ზარალიანობისა, თურქულმა ფირმამ „ჩილდარმა“ გამონახა სახსრები, რათა ჩვენმა გოგო-ბიჭებმა ევროპული დონის განათლება მიიღონ ოქსფორდის უნივერსიტეტის (?) პროგრამების შესაბამისად. შემდგომ ბატონმა დირექტორმა დასძინა, რომ ფირმის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი ხარჯების პარალელურად მე-7 კლასელმა მოსწავლეებმა მიმდინარე სასწავლო წელს 300 ამერიკული დოლარი უნდა გადაიხადონ (ეს ორჯერ აღემატება ლიცეუმის გახსნის დროს გამოცხადებულ საფასურს), კიდევ ერთი ამდენი დასჭირდება სასწავლო ნივთეაის, მოსწავლის ფორმის შეძენასა და ტრანსპორტის ხარჯებს. ამასთან, მე-11, მე-12 კლასებში, — თანახმად დირექტორის განცხადებისა, — მარტო სწავლის ქირა 1000 დოლარიან ზღვარს გადალახავს, რომ არაფერი ვთქვათ თანმხლებ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხარჯებზე (ცნობისათვის: ჩვენი ქვეყნის კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის უნივერსიტეტშიც, სწავლის ქირად წლიურად 150 ამერიკულ დოლარზე ყაბულდებიან). ლიცეუმში სწავლების ეკონომიკური ნაწილი მედლის უკანა მხარეა და იგი, როგორც იტყვიან, მოსწავლეთა მშობლების საოჯახო ბიუჯეტის კერძო საქმეა, შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: მარტო შეძლებული ოჯახებიდან გამოსული ბავშვების მშობლებმა ქველმოქმედების სახით რომ გაიღონ მათი შვილების აღმზრდელი სკოლისათვის ზემოთდასახელებული თანხის თუნდაც მესამედი, მაშინ დღევანდელი ქართული განათლება (და არა მარტო განათლება) სულ სხვა სიბრტყეში იქნებოდა.

მთავარი სათქმელი წინ გვაქვს. როგორც ჩვენმა „განმანათლებელმა“ თავად ბრძანა, მოსწავლეთა მიერ ლიცეუმში სწავლებისათვის გადახდილი საფასური სანახევროდ ძლივს ფარავს ფირმის მიერ ჩვენი თანამემამულეების განათლებაზე გაწეულ ხარჯებს.

ისმის ლოგიკური კითხვა: მაშ, რა ამოძრავებთ ჩვენს განმანათლებელ კეთილ ბებიებს? რად გვახარჯავს კერძო თურქული ფირმა საკუთარ მონაგარს? იქნებ, კომუნისტური განათლების სისტემის მსგავსად, გულუხვმა მეზობელმა დოტაციური განათლება დაგეგმა ჩვენთვის? დამეთანხმებით, ასეთი აზრის გაელვებაც კი ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა. უფრო ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა: ხომ არ არის დღევანდელი თითქოსდა უცოდველი ლიცეუმი 21-ე საუკუნის საქართველოსათვის დაყოვნებული მოქმედების ბომბი? მოდით, ემოციების გარეშე, ცივი გონებით, მისხალ-მისხალ ავწონ-დავწონოთ ჩვენი განმანათლებლის წელიწადნახევრის ნაღვაწი: დავიწყოთ თუნდაც თავად სასწავლებლის, ქართველი კაცისთვის მეტად მაცდუნებელი სახელიდან „ინგლისურენოვანი“, ამასთან ოქსფორდის პროგრამებითა და კომპიუტერული ტექნიკის დაუფლებით. ლიცეუმს ინგლისური ენის შესასწავლად გამოყოფილი დროის არასაკმარისობის ბრალდებას ვერ წავუყენებთ, მაგრამ მას თურქეთიდან მოვლენილი სპეციალისტები ასწავლიან, რომელთა ცოდნაში უნებლიედ ეჭვი იბადება. რა საბუთით? ახალი სასწავლო წელი „ინგლისურენოვანი“ ლიცეუმის დირექტორმა მოსწავლეებს და მათ მშობლებს თურქულად მიულოცა, თუმცა ქართველი მშობლებისათვის თუ არა, ბავშვებისათვის ინგლისური ენა უფრო ნაცნობი და ახლობელი იყო, ვიდრე თურქული ენა (მისაღებ გამოცდებზე ბავშვებმა სერიოზული გამოცდა ჩააბარეს ინგლისურში, ხოლო თურქულად მისალმებაც კი არ იციან, იშვიათი გამონაკლისის გარდა). მასწავლებლები ლიცეუმში ბავშვებთან ურთიერთობისას არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეებისათვის გაუგებარ თურქულ ენას იყენებენ. მოტანილი ფაქტები გვაძლევს სრულ საფუძველს, დავასკვნათ: სასწავლებლის სახელწოდებაში „ინგლისურენოვანი“ მიამიტი ქართველი მშობლის თვალის ასახვევადაა ნახმარი, სინამდვილეში ლიცეუმის შორსგამიზნული მზაკვრული მისია ქართველ ყმაწვილებში თურქული სულის აღზრდას ისახავს მიზნად.

რითი შეიძლება გამართლდეს ლიცეუმის დირექტორის მოადგილის არაფრისმთქმელი, მშრალი საპირველსექტემბრო სიტყვა, როცა სათქმელი და მისალოცი, მართლაც, სერიოზული იყო, - ქართული სახელმწიფოებრიობის უპირველესი ატრიბუტი, — კონსტიტუცია, რომელზედაც დუმან ლიცეუმელი შინაური და მოწვეული მოძღვარნი, მაშინ, როცა იმავე ლიცეუმის პირველკურსელ მოსწავლეთა თურქული ენის სახელმძღვანელო იხსნება „ისტიკლალ მარშით“, — თურქეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ჰიმნით, რომლის მექანიკური დაზეპირებები სავალდებულოა ლიცეუმელი ყველა ქართველი ბავშვისათვის. ნათქვამიდან მეორე დასკვნა შეიძლება შემდეგი შინაარსით ჩავწეროთ: 80 წარჩინებული ბათუმელი მოსწავლის სული, რომელიც ამჯერად ლიცეუმში ყალიბდება, ველარ იზეიმებს სამამულო სკოლის მიერ ათეული წლების განმავლობაში ეროვნული სიამაყისა და პატრიოტული გრძნობების დაგროვილ მდიდარი ტრადიციების აღზევებას. უწყინარი „ინგლისურენოვანი“ ლიცეუმი ქართველ გოგო-ბიჭებს ისლამის დღესასწაულების სიკეთეზე ჯერჯერობით დამატებითი არდადეგების ენით ხიბლავს. დაველოდოთ, რა მოხდება შემდეგში, თუ ჩამოვკრათ განგაშის ზარები?

საგნებსა და მოვლენებზე მე ჩემეული შეფასება მაქვს. აფხაზეთის დილემა, რომელიც ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს უამრავ თავსატეხს უჩენს, ჩვენი საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში როდი აღმოცენდა, იგი გაცილებით ადრე, — მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩვენივე, — ქართველების წინდაუხედაობით დაიწყო. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ 50-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა უმეტესწილად ქრთამით ან ჩაწყობით ხდებოდა. ბუნებით ზარმაცი, ლაღი აფხაზი („за костром сидели ленивые абхазцы и грязные армяне“, წერდა ერთგან მ.ლერმონტოვი) როდი ილტვოდა სიმდიდრის მოხვეჭისათვის. კოხტა „ჩერქეზკა“, კაჭიჭის ღვინო, გაუთავებელი ლხინი, აფხაზური ყოფის [illegible] ატრიბუტი [illegible] დაგროვების საშუალებას. რომლითაც თბილისის [illegible] სასწავლებლებში ხუჭალს [illegible]ვდა მავანს და მავანს და ჩარიცხავდა შვილს. ქართველთა ეს სიბრიყვე მოხერხებულად გამოიყენა უფროსმა ძმამ და ფართოდ გაუღო თავისი უმაღლესი სასწავლებლების კარები აფხაზებს. რუსეთში აღზრდილი აფხაზი რუსული აზროვნებითა და სულით დაიმუხტა და 70-იანი წლებიდან მოყოლებული აშკარა სეპარატიზმის გზას დაადგა, რომლის შხამიანი ნაყოფიც ახლა ყელში გვაქვს გაჩხერილი. ამ საქმის გამოსწორებას ათეული წლები დასჭირდება. „განვითარებული სოციალიზმის“ მშენებლობის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს პოლიტიკური სიბრძნე რომ გამოეჩინათ და ყველა სწავლის მსურველი აფხაზი ქართული უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მოექციათ, აფხაზეთში დღეს ჩვენ სეპარატიზმის პრობლემები არ გვექნებოდა. ვგონებ, აფხაზური გაკვეთილი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ახლაც და მომავალშიც.

ფუნდამენტალისტი ისლამისტები თურქეთში არც კი ფარავენ თავიანთ რაღაც უფლებებს აჭარაზე. აჭარის ზოგიერთ სოფელში ჯამის გახსნა, სახელდახელოდ გამართულ ორ თუ სამ მედრესეში გაბრიყვებული ახალგაზრდების სწავლების რესტავრაცია ისლამისტური პარტიის ხელწერას ჰგავს. ფირმა „ჩილდარის“ „ინგლისურენოვანი“ ლიცეუმი კი საერო სასწავლებელში ისლამისტური ბაცილის ჩათესვლის პროგრამის ნაწილია. თუ ლიცეუმი იდეოლოგიური ექსპანსიის ამ ტემპებს შეინარჩუნებს, მაშინ 50 წლის შემდეგ აჭარაში 50 x 40 პროთურქული გავლენის თანამემამულე გვეყოლება, რომ არაფერი ვთქვათ მათი ოჯახების წევრებზე. საქართველოს დედაქალაქში, — თბილისში, თურქული ორიენტაციის მქონე „ინგლისურენოვანი“ ლიცეუმი, ვისი სახელობისაც არ უნდა იყოს იგი, ვერ შექმნის [illegible]სათვის ისეთ ნეგატიურ [illegible]ტიკურ კლიმატს, როგორც ბათუმში. აჭარაში ასეთი განათლების კერის არსებობა ნახევარი საუკუნის შემდეგ მეორე აფხაზეთი იქნება ქართულ სხეულზე, ამიტომ, საჭიროა ახლავე ჩამოვკრათ განგაშის ზარები.

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა ეკონომიკური აღმავლობის თავბრუდამხვევი ტემპებით ბევრად იმსახურებს ყურადღებას. მისი გამოცდილება მუხლჩაუხრელ მუშაობაში, ყაირათიანობაში, მომჭირნეობაში, მოყვასის მხარდაჭერასა და გატანაში, აგრეთვე სხვა სფეროებში, მისაბაძია, მაგრამ განათლების მიღება თურქული მოდელით საეჭვოდ მიმაჩნია, რამეთუ თურქ მეცნიერებს ბოლო 20—25 წლის და არა მარტო ამ პერიოდში რაიმე სერიოზული არათუ ფუნდამენტალური გამოკვლევა, არამედ გამოგონებაც კი არ დაუფიქსირებიათ. თურქული წარმოების სიახლენი იტალიური, ფრანგული, გერმანული, იაპონური, ამერიკული თუ სხვა ქვეყნების მიღწევათა არცთუ ისე უახლესი პატენტებით იკვებება. ბუნებრივია, ჩვენ მისგან ვერავითარ ახალს, მით უმეტეს, თანამედროვეს ვერ ვისწავლით.

გონს მოდი, ქართველო! „ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები“- გვმოძღვრავდა სულმნათი აკაკი.

**ჯემალ ჯიჯავაძე**

ქ.ბათუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება



**არც რა მიშველა ტირილმა,**
**არცა ცრემლების დენამა,**
**მიშველა ისევ სიცილმა,**
**ლაქარდიანმა ენამა.**

უმორჩილესად ვთხოვთ მკითხველს, გალაკტიონის ამ გამოუქვეყნებელი ლექსის დასტამბვას ნუ ჩაგვითვლის მკრეხელობაში. პატარა უცენზურობის მიუხედავად, ფაქტია, რომ ეს მშვენიერი იუმორისტული ლექსია, გალაკტიონისეული ნიჭით აღბეჭდილი. დიდი პოეტის ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები ცნობილი უნდა იყოს. მით უფრო, ისეთი პოეტის, როგორიც გალაკტიონი გახლავთ.

ამ ლექსის გალაკტიონისეულობა დაგვიდასტურა ბატონმა ვახტანგ გურგენიძემაც, რომელსაც ახლო პირადი ურთიერთობები ჰქონდა დიდ პოეტთან.



## მენახშირე

ოქროყანელი ვარ მენახშირე,
ვირით ტფილისში სვლა დავახშირე,
ჩემს შეძახილებს ისმენს გზა ხშირი,
აბა ნახშირი, კარგი ნახშირი!

მეც ავიკიდე, ვირსაც ავკიდე,
ცოტაღა დამრჩა, ბევრი გავყიდე,
როს აივანზე ქალი თმახშირი
ნაზად მეძახის: — რა ღირს ნახშირი?

ვუთხარ: — აიღე, რაიც დიდია,
რომელი გინდა, მომიყიდია:
გინდა აიღე ვირს რომ ჰკიდია,
გინდ — ეს აიღე, მე რომ მკიდია.

ქალმა დამწყევლა ლამაზი პირით:
მომკვდარხარ შენცა და შენი ვირიც,
ოხრად დაგფშვნია შენი ნახშირიც
მეხი დაგეცეს, მიწამ გყოს პირი!

წყევლამ არ გაჭრა, მივალთ ტაატით
მე და ეს ჩემი დიდყურაანთი
და შეძახილებს ისმენს გზა ხშირი,
— აბა ნახშირი, კარგი ნახშირი!

გალაკტიონ ტაბიძე

**ხრუშჩოვმა** დამოუკიდებლად დაწერა მოხსენება და მეგობარს სთხოვა წაეკითხა. მან წაიკითხა და გულახდილად უთხრა: — ნიკიტა ორი შეცდომა გაქვს: „ჩასვრილი“ ერთად იწერება, „საჯდომი“ ცალ-ცალკე.

***

**საპირველმაისო** პარადზე ღრმად მოხუცებულთა კოლონას მოაქვს პლაკატი: „მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის“.

— თქვენ ხომ არ გაგიჟდით, თქვენი ბავშვობის დროს სტალინი დაბადებულიც არ იყო.

— სწორედ მაგისთვის ვუხდით მადლობას.

***

**სტალინს** მოახსენეს, რომ იპოვეს მისი ორეული.

— დახვრიტეთ, — ბრძანა მან.

— ეგებ, ულვაშები მოვპარსოთ?

— კარგი აზრია. მოპარსეთ ულვაშები და დახვრიტეთ — იყო პასუხი.

***

**რაბინოვიჩი** ყოველ დილით მიდის გაზეთების ჯიხურთან, იღებს „პრავდას“ და ათვალიერებს პირველ გვერდს. რამოდენიმე დღის შემდეგ გამყიდველი ეკითხება:

— რას ეძებთ?

— ნეკროლოგს — პასუხობს რაბინოვიჩი.

— ნეკროლოგი ბოლო გვერდზეა.

— მე რომელსაც ველოდები, ის აუცილებლად პირველ გვერდზე დაიბეჭდება, — ჩაიღიმებს რაბინოვიჩი.

***

**ვინ** იყვნენ ეროვნებით ადამი და ევა?

— რა თქმა უნდა, რუსები. მხოლოდ მათ შეუძლიათ ირბინონ შიშვლებმა, ჭამონ ორმა ერთი ვაშლი და თან თქვან, რომ სამოთხეში არიან.

***

**რაბინოვიჩი** სუკ-ის შენობის გვერდით ჩაივლის. კარებზე წარწერაა: „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ რომ ეწეროს, შევიდოდი თუ რა, — ჩაიბურტყუნა რაბინოვიჩმა.

***

— **ამხანაგო** რაბინოვიჩ, გაქვთ აზრი ამ საკითხზე? — ჰკითხეს ებრაელს პარტიის კრებაზე.

— აზრი მაქვს, მაგრამ არ ვეთანხმები მას — განაცხადა რაბინოვიჩმა.

***

— **ხომ** გაიგე, მალე დარბევა იქნება.

— რა მენაღვლება, პასპორტში ეროვნება რუსი მიწერია.

— პასპორტს ვინ უყურებს, სიფათს უყურებენ, — „დაამშვიდეს“ იგი.

***

**ოვირში** პლაკატია გაკრული: „უმჯობესია შორეული ,ნათესავები გყავდეთ ახლო აღმოსავლეთში, ვიდრე ახლობელი შორეულში“.

***

**ბრეჟნევის** ბინაში რეკავს ტელეფონი. ცოლი იღებს ყურმილს:

— ლონიას სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— ვინ კითხულობს?

— სკოლის ამხანაგი.

— რატომ ცრუობთ ქალბატონო, ლონიას სკოლაში საერთოდ არ უვლია.

***

**გამოსვლის** შემდეგ ბრეჟნევმა გამოიძახა რეფერენტი და უსაყვედურა:

— მე გთხოვეთ დაგეწერათ თხუთმეტწუთიანი მოხსენება, თქვენ კი ერთსაათიანი დაწერეთ.

რეფერენტი შეწუხდა:

— იქ ხომ ოთხი ეგზემპლარი იყო.

***

**ბრეჟნევი** 1980 წ. ოლიმპიური თამაშებზე მისალმებით გამოდის:

— O! O! O! O! O!

რეფერენტი ჩუმად კარნახობს:

— ეს „O“ კი არა ოლიმპიური რგოლებია, ტექსტი ქვემოდან იწყება.

***

— ჩვენთან გათხრებისას უძველესი ცივილიზაციის ნიშნები აღმოაჩინეს, — ტრაბახობს ამერიკელი.

— ჩვენთან, შახტში, — ამბობს რუსი, — საჯდომი იპოვეს, ყურები მიაბეს და ახლა სახელმწიფოს მართავს.

***

— **რაბინოვიჩ,** რატომ იყიდეთ პოლიტბიუროს წევრების სურათები ათას ეგზემპლიარად?

— იზრაელში ტირი უნდა გავხსნა.

***

— **მე** და კომუნისტებს უთანხმოება აგრარულ საკითხში გვაქვს — ამბობს რაბინოვიჩი. მათ სურთ, რომ მე ვიწვე მიწაში, მე მსურს, რომ ისინი იწვნენ იქ.

***

— **რაბინოვიჩ,** სად მუშაობ?

— რკინიგზაზე.

— ებრაელები ბევრნი არიან შენთან?

— არა, მხოლოდ ორნი ვართ, მე და შლაგბაუმი.

***

— **შეიძლება** თუ არა სომხეთში კომუნიზმის დამყარება?

— შეიძლება, მაგრამ ჯობს ჯერ საქართველოში დავამყაროთ.

***

— **რა განსხვავებაა** მხატვარ სიურეალისტებს, რეალისტებს და სოცრეალისტებს შორის?

— სიურეალისტები ხატავენ რასაც გრძნობენ, რეალისტები — რასაც ხედავენ, სოცრეალისტები — რაც ესმით.

# რუსული რულეტი

მეხუთე გვერდიდან

აღორძინების საკითხს.

ზიუგანოვს არავითარი ეკონომიკური დოქტრინა არ გააჩნია. მისთვის მთავარია ქვეყნის ორთოდოქსალური მეთოდებით მართვა. მინიმალური ოდენობის კერძო საკუთრების მომხრეა, მაგრამ, ამასთან ერთად აცხადებს, რომ „სტრატეგიული" საკითხები სახელმწიფო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

მაგრამ მასების მოტყუება არც თუ ისე ადვილი საქმეა. დემაგოგია და არქაიზმები ზიუგანოვს ვერაფერში ადგია. რუსები დარწმუნებული არიან, რომ ზიუგანოვთან ერთად დაბრუნდება საყოველთაო შიმშილობა. ბოლოს და ბოლოს რა სურთ რუსებს: სამუშაო ადგილი და სრული დასაქმება, რეგულირებული და გაწონასწორებული ფასები და მომხმარებელთა ჯანსაღი საზოგადოება, პოლიციური თვითნებობისა და სტალინური რეპრესიების გარეშე.

ზიუგანოვი და მისი ამალა ყოველგვარი რიდის გარეშე „ასწორებენ" ისტორიას. პუტჩისტი გენერალი, ვალენტინ ვარენიკოვი ასეთ ახსნას უძებნის „გულაგს": „ყოველივე ეს მოგონილი ამბებია! რა მსხვერპლზეა ლაპარაკი? რაღაც **640000** კაცი, ეს იყო და ეს". ვარენიკოვის კერპი იოსებ სტალინია.

ნოსტალგიით შეპყრობილი რევანშისტების შემოტევამ საქმოსანთა ადეკვატური რეაქცია გამოიწვია: მათი მცდელობით, **300** მილიარდი დოლარი რუსეთის საზღვრებს გარეთ, უცხოურ ბანკებში „მოყუჩდა". ზიუგანოვი მოთმინებით ელის „ზეობის ჟამის" დადგომას და რუსებს პირდება, რომ გატანილ კაპიტალს უკან დააბრუნებს. იგი აპირებს „გადახედოს" რუსეთის მთავრობის მიერ მსოფლიო ბანკთან დადებულ ხელშეკრულებას. ელცინმა შეიძლება კიდეც გაიცინოს ამაზე, მაგრამ ამ ვითარებაში, შუაგულ არჩევნებში, ცოტაოდენი დაფიქრებაც ღირს: რეფორმების შეწყვეტა იმ 10 მილიარდიან ყოველთვიურ სესხსაც მოუღებს ბოლოს, რომელსაც მსოფლიოს ბანკი იძლევა.

ზიუგანოვის საპასუხოდ ელცინმა ზუსტი ტონი აირჩია: „ადამიანებს თანდათან ავიწყდებათ ცარიელ-ტარიელი მაღაზიები. ახლა მთავარია, ცარიელი საფულეებიც დავავიწყოთ".

რა თქმა უნდა, საერთო კეთილდღეობა ხვალ არ დადგება, მაგრამ ნორმალური ცხოვრება შესაძლებელი გახდება. მგზნებარე ტრიბუნი კეთილ უფლისწულად გვევლინება, რომელიც უამრავ სიკეთეს პირდება ქვეშევრდომთ. ელცინი დემოკრატებთანაა წილნაყარი და მათი გავლენით აწერს ხელს ჩეჩნეთში ომის შეწყვეტის ბრძანებას. მას იმედი აქვს, რომ არჩევნების მანძილზე მაინც მოახერხებს სამხედრო კონფლიქტის მოთოკვას.

კედელთან მიმდგარ ელცინს უკან დასახევი გზა აღარ დარჩა. არჩევნების გადატანა, რომლისკენაც მისი მეგობარი, კრემლის „შავბნელი სული", გენერალი კორჟაკოვი უბიძგებდა, არ გამოვა. „ცარი" ელცინი აცხადებს, რომ მზადაა თავისი ვალი აღასრულოს. იგი სწორედ ამას შეპირდა რუსეთს. ამასვე შეპირდა ბილ კლინტონს. გამოსავალი ერთია: გამარჯვება და სსრკ-ს აჩრდილის ერთხელ და სამუდამოდ დასამარება.

**სილვენ პასკიე**

( ექსპრესი , 6-12 ივნისი, 1996)

# მე, ხომასურიძე — გაგრის გმირი

მეოთხე გვერდიდან

ლიონის ფორმირების საკითხი და საჭირო აღჭურვილობა ჩამეტანა გაგრაში. ასევე მეთხოვა, როგორმე შეეჩერებინათ მხედრიონის გაგრაში ჩასვლა. თენგიზ კიტოვანს ბატალიონის ჩამოყალიბების ამბავი ძალიან გაეხარდა, მაგრამ მხედრიონის საკითხმა გაალიზიანა და ბ-ნ ე. შევარდნაძეს დაურეკა: „რა უნდა გაგრაში? რატომ მიდის? მაგას თავისი ოცნების ასრულება უნდა — მაფიოზურ ქვეყანად აქციოს საქართველო და იბატონოს, ჩავა იქა და ყველაფერს აურ-დაურევს" — ლაპარაკის შემდეგ ძითხრა, შევარდნაძე გელოდება და სასწრაფოდ წადიო. თემურ ხაჩიშვილი იჯდა მასთან და ახლა იმას მიუბრუნდა: „თქვენი შექმნილია მხედრიონი, მოვა დრო და თქვენვე აგებთ პასუხს, რასაც ისინი შვრებიან".

შემდეგ ბატონი პოლკოვნიკი ედუარდ შევარდნაძესთან წასულა.

„დაწვრილებით მოვახსენე, რა მდგომარეობა იყო გაგრაში და რა ტვირთად დააწვებოდა ქვეყანას მოწყვეტილ გაგრას კიდევ **600** მხედრიონელის გამოკვება, რომლებიც სრულიად ზედმეტი იქნებოდნენ საბრძოლო ოპერაციებისათვისაც, სიტყვა-სიტყვით მახსოვს შევარდნაძის სიტყვები. ცოტა ინერტულიც იყო, თითქოს არ მისმენდა: „რა არის იცით... თქვენ ჩემი შვილიშვილის ტოლები ხართ. არ არის ჯერ ცხოვრება ისე აწყობილი, რომ მას ვინმემ უთხრას, შენ იქ არ წახვიდეო და ის იქ არ წამოვიდეს (ჯაბას გულისხმობდა)".

ბ-ნი პოლკოვნიკი ცრუობს, როცა ამბობს, რომ 800 კაცი ჰყავდა, თანაც კარგად დისციპლინირებული. იგი არარსებულ სიტყვებს მიაწერს ბ-ნ თენგიზ კიტოვანს. ბ-ნი ჯაბა სწორედ ბ-ნ თენგიზ კიტოვანისა და ბ-ნ ე.შევარდნაძესთან თათბირის შემდეგ გადაფრინდა გაგრაში, ასევე ბატონების, ჯონი ლატარიასა და ბადრი ფირცხელანის არაერთგზის თხოვნით.

ახლა დავუბრუნდეთ პოლკოვნიკის ოდისეას გაგრაში. 200 ავტომატი ჩამოუტანია თბილისიდან, რომლის დიდი ნაწილიც მხედრიონს წაურთმევია — „ჩვენ იარაღი არა გვაქვს. საინტერესოა, უიარაღოდ რა მოარბენინებდათ გაგრაში?"... „სხვათაშორის, მხედრიონი გაგრაში დიდხანს არ დარჩენილა".

ბ-ნ პოლკოვნიკის თქმით გამოდის, რომ 600 მხედრიონელი (თანაც უიარაღო) გაგრაში გვარდიის განსაიარაღებლად ჩასულა და შემდეგ უკან წამოსულა.

მართლა საინტერესოა, ბ-ნო პოლკოვნიკო, იარაღი როგორ წაგართვათ 800 შეიარაღებულ დისციპლინირებულ ჯარისკაცს 600-მა უიარაღო მხედრიონელმა?

— როგორ და, თუ სიმართლე გინდათ, არც რვაასნი ყოფილხართ, არც დისციპლინირებულნი და ეტყობა, მაინცადამაინც არც ბრძოლის სურვილი გქონდათ.

ჟურ. — მართლა ყაჩაღობდნენ და ფულს აწერდნენ მოსახლეობას?

ბ-ნი პოლ. — რაც არ მინახავს, არ ვიცი, შეწერა რად ჰირდებოდათ? ვისაც რა უნდოდა, იმას ართმევდნენ.

მომაკვდინებელი ლოგიკაა: „რაც არ მინახავს, არ ვიცის" შემდეგ: „შეწერა რად ჰირდებოდათ? ვისაც რა უნდოდათ, იმას ართმევდნენო".

შე მამაცხონებულო, რაც არ გინახავს, რას ამტკიცებ: რა იცი, როგორ ართმევდნენ, ან რას ართმევდნენ?!

ჟურ. — როგორი ურთიერთობა იყო მხედრიონსა და გვარდიას შორის?

ბ-ნი პოლ. — დაიწყო გარკვეული დაძაბულობა. მხედრიონის ჩამოსვლამ ჩვენი რიგები არია. ამორფული ორგანიზაცია იყო... ეს იყო ერთიანი, მაგრამ ამორფული ორგანიზმი, ბრძოლის ველზე ასეთი ორგანიზმის მართვა ფაქტიურად შეუძლებელია, მათ კი ძალიან ბევრ უფლებას აძლევდნენ (ვინ აძლევდა ბევრ უფლებას? — ზ.დ.). იყო ძარცვის და ყაჩაღობის ფაქტები, ზოგიერთი სულმოკლე გვარდიელიც აჰყვა მათ. ასე დაიწყო ურთიერთკონფრონტაცია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (ვის მიერ? — ალბათ, საბრძოლო მოქმედების მთავარი შტაბის უფროსის პოლკოვნიკ ხომასურიძის მიერ — ზ.დ.), რომ გვარდიის ნაწილები სოხუმის ფრონტზე გადაეგზავნათ, მცირე ნაწილი კი მოკლევადიან შვებულებაში გაუშვეს (უცნაურია: ომი **14** აგვისტოს დაიწყო, **2** ოქტომბერს გაგრა დაეცა, რა მოკლევადიან შვებულებებზეა ლაპარაკი? — მ.დ.), გაგრაში დარჩა მხედრიონი და გვარდიის მცირე ნაწილი, აი სწორედ მაშინ დაკრა ფეხი მხედრიონმა და დატოვა გაგრა, ადგილზე დარჩა მხედრიონის **37** კაცი ვაჟა ქრისტესიაშვილის ხელმძღვანელობით. აი ესენი სულით ხორცამდე მებრძოლები იყვნენ. დარჩენილი ნაწილები მაქსიმუმ **250** კაცს ითვლიდა, ამის შემდეგ დადგა გაგრის დაცვის საკითხი. სხვათაშორის, ის წართმეული ავტომატები მხედრიონელებმა თბილისში წაიღეს.

ბ-ნ პოლკოვნიკს თუ დავუჯერებთ, მის განკარგულებაში მყოფი 800 კაციდან 250 შერჩა ხელთ, აქედან 37 მხედრიონელი, დანარჩენი მოკლევადიან შვებულებაში წავიდა. 600 მხედრიონელიდან 563 თბილისში წავიდა და თან დაახლოებით 200-მდე ავტომატი გაიყოლა — რა ენაღვლებოდათ! ისმის შეკითხვა, სად იყო ამ დროს ბადრი ფირცხელანი? ისიც თბილისში გადაფრინდა თავისი გაგრის მხედრიონით, თუ მოკლევადიან შვებულებაში გაუშვა მარინაშვილმა? სხვათაშორის, ბ-ნო პოლკოვნიკო, ვაჟა ქრისტესიაშვილი გაგრაში მძიმედ დაიჭრა — თითქმის წელიწადი იყო მიჯაჭვული საწოლს.

„მარინაშვილი, სანამ ძალიან არ შეთხელდა ნაწილები, მათ სახლში უშვებდა. სწორიც იყო, შეშინებულ კაცზე საშიში არაფერია. -გაგრის დაცემის წინა დღეებში მიშა მარინაშვილმა მთხოვა თბილისში ჩავსულიყავი და ხელმძღვანელობისათვის მომეხსენებინა და მეთხოვა, რომ ან დამკვირვებლები ჩამოსულიყვნენ დროზე, ან მოგვცემოდა აქტიური მოქმედების უფლება, თბილისში ჩამოსვლა და მეორე დღეს გაგრა — კოლხიდას დაცემა ერთი იყო. ვერ მოვასწარი. დავაგვიანე".

მერე და ვინ არის ყველაფერ ამაზე პასუხისმგებელი, თბილისში გამგზავრებული უფროსობა ხომ არა?!!

ვისაც არ უნდა ეთხოვა, ბ-ნო პოლკოვნიკო, შტაბის უფროსს ბრძოლის მიტოვების უფლება არა აქვს. გაიქეცით! უბრალოდ, შეგეშინდათ და გაიქეცით! თან ყველაფრის გადაბრალება აწ გარდაცვლილ მიშა მარინაშვილზე არ გეკადრებათ ბ-ნო პოლკოვნიკო!

ჟურ. — თქვენ როდის დაიჭერით? მაშინ მიიღეთ პოლკოვნიკის ჩინი?

ბ-ნი პოლ. — დავიჭერი მხედრიონთან ერთობლივი ოპერაციის დროს, ახალი ჩამოსულები იყვნენ და ბრძოლა სწყუროდათ. ჯაბა მეუბნებოდა: „დათო, გავაკეთოთ რაღაც, ვქნათ რაღაც!" მე არ მინდოდა ამ არეულ სიტუაციაში იერიშის დაწყება, ბევრი ხალხი მოვგროვდით... მე ვუთხარი, თქვენ დაგეგმეთ და მე შევასრულებ-მეთქი. ვიცოდი, რისი დამგეგმავიც იყო... შეტევა მეორე დღეს დაიწყო დილით. ეს იყო **30** აგვისტოს, მწვერვალებს შეტაკება მოუხდათ, მათ დასახმარებლად დაიძრა ტანკი და **БТР**-ი. ამან კი თავისთავად გამოიწვია იერიში და პროცესი უმართავი გახდა. მე ფაქტის წინაშე დავდექი. გამოვიდა მხედრიონი გახარებული, აბა დავიწყეთო!"

როგორც იქნა აღიარეთ! თურმე ბრძოლა სწყუროდათ, თურმე გახარებიათ შეტევის დაწყება. გარდა იმისა, რომ სინდისი არ გაწუხებთ, ამ აბზაცში თქვენი, როგორც ოფიცრის, რეპუტაციისთვის ერთობ საზიანო სიმართლეც წამოგცდათ: „მხედრიონს" ბრძოლა სწყუროდა, ბატონი ჯაბა თქვენგან კვალიფიციურ გადაწყვეტილებას, შეტევის გაძღოლას მოითხოვდა. თქვენი პასუხი — „თქვენ დაგეგმეთ" — ან ცბიერება იყო, ან ცბიერებით შენიღბული ლაჩრობა.

თქვენი ციტატა: მასის ეგზალტაცია მოხდა, **600** კაცი ყვიროდა და დარბოდა, აბა, წავედით იერიშზეო, მე მომიხდა ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა. მაპატიეთ, მაგრამ ჯაბა იოსელიანს ვერ დავუტოვებდი ბრძოლის ველს, თუმცა მას სამხედრო სტრატეგად მოაქვს თავი. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ოპერაცია, მაგრამ მხედრიონის ჩამოსვლამ დააჩქარა ეს იერიში. მარცხენა ფლანგი, ტყის მხარეს, მხედრიონს ეკავა, მარჯვნივ **28**-ე ბატალიონი იყო, შუაში კი თელავის, შავნაბადისა და **26**-ე ბატალიონი ტექნიკასთან ერთად მოდიოდა ცენტრალურ მაგისტრალზე. ბრძოლით გავიარეთ წითელი ჯვარი და იაფუნარი. მარცხენა ფლანგზე მხედრიონმა დააგვიანა და ჩვენ იძულებული ვიყავით სვლა შეგვენელებინა, რადგან შეიძლება, მოწინააღმდეგის მხრიდან ორმხრივ ცეცხლში მოვხვედრილიყავით. როგორც იქნა მოგვესმა, რომ ტყე-ტყე მხედრიონი სროლით გვიახლოვდებოდა, ამ დროს სამმეტრიან კედელთან ვიდექი. მტრის ტყვიისგან დაცული ვიყავი. სწორედ მარცხენა ფლანგიდან, სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ მარცხენა საფეთქელს ოდნავ ქვემოთ გამიარა, ზღვიდან ჭურვი ისროლეს [illegible]. ამან გადამარჩინა, [illegible] და ჩვენს შეჩერებას [illegible]. [illegible] დაღუპვის ამბავი, იძულებული გავხდი გამოვსულიყავი საავადმყოფოში. ბრძანება დავტოვე ბრძოლა გაეგრძელებინათ..."

ჰა, როგორია! ვერ გაეჯიბრება მიუნჰაუზენს?

თურმე მხედრიონთან ერთობლივი ბრძოლის დროს დაჭრილა ბ-ნი პოლკოვნიკი. გასარკვევია, მხედრიონელებმა დაჭრეს, აფხაზმა ბოევიკებმა, თუ თავისმა გვარდიელებმა? როგორც თვითონ აღწერს, მარცხენა ფლანგიდან ესროლა სნაიპერმა. ისე, მაგრა უბრძოლია, სამმეტრიანი კედლის საფარველიდან პირდაპირ საავადმყოფოში ამოუყვია თავი.

„ჯაბა იოსელიანს ვერ დავუტოვებდი ბრძოლის ველს, თუმცა, მას სამხედრო სტრატეგად მოაქვს თავი!"

როდის უთქვამს ბ-ნ ჯაბა იოსელიანს, დიდი სამხედრო სტრატეგი ვარო.

საინტერესოდ აღწერს დ.ხომასურიძე პოლკოვნიკის წოდების მიღებას: „გაგრაში გადასვლის წინ სოხუმში ვნახე გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი — ვკითხე შემდგომი საბრძოლო დავალებების შესახებ. გიამ მითხრა, გაგრის შტაბი მიშა მარინაშვილს ჩავაბარეო. მივხვდი, რომ პოლკოვნიკის წოდების ფასად სამხედრო ხელმძღვანელობიდან მომაშორეს. დავბრუნდი გაგრაში და ჩემს **26**-ე ბატალიონს ჩავუდექი სათავეში".

გია ყარყარაშვილზე ნაწყენი ყოფილა; აწ გარდაცვლილ მიშა მარინაშვილზე: „იგი გამოწრთობილი ოფიცერი იყო, მაგრამ საბჭოთა სკოლა ჰქონდა გავლილი — მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ წარმატებით მოქმედება, როდესაც ჯარი აწყობილია და ბრძანებებს ემორჩილება".

ეტყობა ხომასურიძეს ან „ვესტ-პოინტის" სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული, ანდა სულაც „სენ-სირის" ანალოგიური სასწავლებელი. ბ-ნ ჯაბა იოსელიანს მასხრად იგდებს, ბ-ნ თენგიზ კიტოვანს ცილს სწამებს. არც ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს ტოვებს უყურადღებოდ:

„ომი წინასწარ დაგეგმილი სცენარის მიხედვით წაგებული გვქონდა?" — ეკითხება ჟურნალისტი — „რა თქმა უნდა!" — კვერს უკრავს დავით ხომასურიძე.

კი ბატონო, ყველას რაღაც ბრალი მიუძღვის, ყველა დამნაშავეა. თურმე მარტო ის კაცია სუფთა და მართალი, რომელსაც ყველაზე კრიზისულ დროს, გაგრის ტრაგედიის წინ თავისი ბატალიონი მიუტოვებია და თბილისისკენ გამოუქუსლავს.

**ზურაბ დანელია,**

მხედრიონელი , რიგითი.




**ჰორიზონტალურად:** 5. მეკობრე; 7. მთვარის დაბადებისა და გავსების ფაზების საერთო სახელი; 12. ასპარეზი; 15. კანის მძიმე სნეულება; 16. 5000 წელს მცხოვრები ხე; 17. ისტორიის მუზა; 18. სახელმწიფო სტანდარტი (აბრევიატურა); 19. ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 20. ვედიზმის ღმერთი; 21. დომინიკის დედაქალაქი; 23. ისტორიული ციხე ქალაქი ქართლში; 24. კალენდრის თვე; 25. ზმნის ფორმა; 26. იგივეა, რაც ბაფთა; 24. მთხზველობისადმი ავადმყოფურად მისწრაფებული ადამიანი; 32. ისტორიული ადგილი სომხეთში.

**ვერტიკალურად:** 1. სახელმწიფო აზიაში; 2. რბილდასაჯდომიანი ტაბურეტი; 3. ჭადრაკის ფიგურა; 4. დედალი ცხვარი; 6. აცტეკების ღმერთი; 8. რომის იმპერატორი ნერონის შემდეგ; 9. სოციალიზმის „გედის სიმღერა"; 10. ეგნატე ნინოშვილის გვარი; 11. ქალაქი სამხრეთ ინდოეთში; 13. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 14. ელექტროტექნიკაში გამოყენებული საიზოლაციო მასალა; 22. უალკოჰოლო სასმელი; 27. გაზეთ „კავკასიონის" დამატება. 28. შესაძლებლობა; 30. ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 31. ფრანგი პარტიზანის მეტსახელი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41